წელიწადი მესამე ფასი 7 კაპ. სამშაბათი, 11 აპრილი, 1917 წ.

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

№ 78 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი № 78

გაზეთი
„საქართველო“
ღირს:
მთელის წლით—15 მ., ½ წლით—9 მ., 3 თვით—5 მ., 1 თვით—1 მ. 80 კ.

წლიური ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გადახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მ.; 1 მარტისთვის 5 მ. და 1 ივნისისათვის 3 მ. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთულმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76).

კანტორა ღიაა: დილით 9—3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.

1 მარტიდან წლის ბოლომდე გაზ. „საქართვ.“ ღირება 12 მ.—50 კ.

ვისაც სურს ხელისმოწერის ფასის განაწილებით ისარგებლოს, ხელის მოწერისათანავე 5 მ. 75 კ. უნდა წარმოადგინოს, დანარჩენი კი 1 მარტს და 1 ივნისს, უკვე გამოცხადებულის საერთო წესის სიხედვით.

რედაქტორი: ხანდრო შანშიაშვილი.

გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 13 აპრილს, საღამოს 8 საათზე

თბ. ქართულ გიმნაზიის შენობაში

დანიშნულია პირველ უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამოაზრეთა (განურჩევლად სქესისა) კრება, საუბნო კომიტეტის ასარჩევად.

მთავარი კომიტეტი.

(3—647—1)

დეკანოზი მელიტონ კელენჯერიძე და მეუღლე მისი ოლღა თეიმურაზის ასული ულრმესს მადლობას უძღვნიან ყველას, ვინც პირადი დასწრებით, დეპეშით, ან წერილით მიიღეს მხურვალე მონაწილეობა ჩვენს უსაზღვრო მწუხარებაში უსაყვარლესის შვილის ანიკოს (ივანე კეკელიძის) უდროოდ დაკარგვისა გამო.

ექიმი
ვონ-ირტელი
(მიხეილის პროსპ. 123, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).
მიხეილის საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი ლოსტავლობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრადინისა, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე. ტრამვაები „314“ და „60“.
შეუხაპუხება

ექიმი
გ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი. ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი, გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე, გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი ქალისა
ე. ივ. გელოვანიშვილი-მაისურაძისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ., საღ. 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის და რუსთველის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმქალი
მ. მ. მეხაძე
იღებს ხალხმრავალი ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღის გარდა მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა სავაჭროსა საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

იყიდება
სახლი იარმუკაზე, რუსის, ბარონის, ნერსესოვის და დიდ ვანქის ქუჩების მახლობლად. იკითხეთ: პეტროგრადის ქუჩა № 8, ბინა 2.
(1—583—3)

ექიმი
მ. გ. ვეშაპიძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

კბილის ექიმი
მოსე ანთიმოზის ძე
კალანდარიშვილი
ოდესის კბილის ექ. სკოლის კურსდამთავრებული.
კბილების ჩასმა და ოქროს გვირგვინების დადგმა. იღებს ავადმყოფებს მიიღებს.
ბარათის ქ. № 3.

ექიმი
ე. ღ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

გოლოვინის პრ. და ხანჯლიანის ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.

ექიმი
მ. ი. მაჩაბელი
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, მელიქოვის ქ. № 4. (ო.—202—)

ექიმი
მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—58.

ახალი საკრებულო
(ყოფილი ხარფუხის კლუბი) მიხეილის პროსპექტი № 163.
სამშაბათს, 11 აპრილს,
სინემატოგრაფი
სიმფონიური ორკესტრი
სტუმრები საზოგადო წესით. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.
(1—649—1)

იაკობინური მეთოდი

რევოლუცია, ჩვეულებრივ, ქუჩაში იწყება, მაგრამ მისი დამთავრება მხოლოდ მთავრობას შეუძლია, რომელიც რევოლუციურ ქუჩას ეყრდნობა და სრული უფლებით არის აღჭურვილი. ეს ჭეშმარიტება კარგად ესმოდა ფრანგ იაკობინელებს, რევოლიუციის საუკეთესო ოსტატებსა და ხელმძღვანელებს. იაკობინელებს არ ეშინოდათ პასუხისმგებლობისა კაცობრიობის და ისტორიის წინაშე. სახელმწიფო მართვა-გამგეობის სადავეები ხელში ეპყრათ და სამშობლო იმ გზით მიჰყავდათ, რომელიც მათ სწორად და მართებულად მიაჩნდათ.

რუსეთის დიდი რევოლუციაც ქუჩაში დაიწყო. ის მოახდინა აჯანყებულმა ჯარმა და ქალაქის პროლეტარიატმა, რომელსაც სოციალისტები მეთაურობდნენ. ამ ადამიანებს ადვილად შეეძლოთ ხელში ჩაეგდოთ სახელმწიფო მართვა-გამგეობა. ეს სამართლიანად აღნიშნა მოქალაქე ირ. წერეთელმა ერთს თავის სიტყვაში ჯარის კაცთა და მუშათა საბჭოების წარმომადგენლების თათბირზე. მაგრამ რუსის სოციალისტები უმეტეს შემთხვევაში მართლმორწმუნე მარქსისტები არიან და ეშინიათ პრინციპების შებღალვისა. იმათ ვერ გაბედეს ისეთ სამინისტროში შესვლა, რომელიც თავის მიზნად ბურჟუაზიული რევოლუციის წარმოებას ისახავს. და ჩხეიძეებმა თუ სკობელევმა, რომელნიც რევოლუციას ხელმძღვანელობდნენ, დროებით მთავრობის სადავეები გადასცეს გუჩკოვებსა და მილიუკოვებს, რომელნიც რევოლუციას მხოლოდ თანაუგრძნობენ.

ეს მდგომარეობა არ არის სავსებით ნორმალური. მით უმეტეს, რომ მუშათა და ჯარის კაცთა წარმომადგენლებმა რევოლუციის განსამტკიცებლად და გასაღრმავებლად საგანგებო საბჭოები შეადგინეს, რომელნიც ოფიციალური მთავრობის დაწესებულებების გვერდით მოქმედებენ. ეს სოციალისტები და რადიკალ-დემოკრატიული საბჭოები სრულს ნდობასა და მორჩილებასა არ უცხადებენ ლიბერალურ დროებით მთავრობას და მის პროვინციულ კომიტეტსა თუ კომისარებს. ერთგვარი კიშპი, ერთგვარი წინააღმდეგობა აუცილებელია. ჯარის კაცთა და მუშათა დეპუტატების წარმომადგენელთა თათბირზე, ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის წინააღმდეგ აშკარა ბუკარაც კი გაისმოდა. მოქალაქე კამენევმა განაცხადა: „რევოლუციურ დემოკრატიას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი პოზიცია—უნდობლობა ყოველი მთავრობისადმი, რომელიც მისი წიაღიდან არ გამოსულა“. მოქალაქე სტეკლოვი კიდევ უფრო შორს წავიდა. მან სთქვა: „ჩვენ გვყავს მტრები და მეგობრები. დროებითი მთავრობა უფრო მტერია, ვიდრე მეგობარი“.

მაგრამ, თუ ახლანდელი დროებითი მთავრობა სანდო არ არის, თუ ის უფრო მტერია ვიდრე მეგობარი, რევოლუციური სინიდისი და რევოლიუციური ლოღიკა ითხოვს, მისი ადგილი იმ ხალხმა დაიჭიროს, რომელიც თავის თავს სანდოდ სთვლის და რევოლიუციის ბოლომდე მიყვანას ფიქრობს. არსებობს მხოლოდ ერთად ერთი ნაცადი რევოლიუციური მეთოდი: იაკობინური. უშიშარი იაკობინელები უკან აღარ იხევენ. ისინი მეთაურობენ ქუჩასაც და მთავრობასაც და სრულ ძალაუფლებასთან ერთად და სრულს პასუხისმგებლობასაც ინაწილებენ. რუსის მე-უკიდურესე სოციალისტები და რევოლიუციონერები ან ამ გზას უნდა დაადგნენ, ან კიდევ უნდა მორჩილება გამოუცხადონ ახლანდელ დროებით მთავრობას, რომელიც თავის ბუნებით რეფორმისტულია, ვიდრე რევოლუციური ყოველს შემთხვევაში ძნელი მოსალოდნელია რომ რუსეთში დიდხანს გაგრძელდეს დღევანდელი მდგომარეობა. როცა არსებითად ორი მთავრობა მოქმედობს რომელნიც ერთმანეთს იჭვით და უნდობლობით უცქერიან.

ძველი ღვარძლი, ძველი გესლი

ჩვენს შინაურ საქმეებში თავხედურ ხელის ფათურს დიდის ხნიდან ჩვეულ არიან ჩვენი კეთილი მეზობლები. „მშაკსა“ და „კავკაზსკოე სლოვოში“ შეხიზნულ სომხის შოვინისტებისაგან ბევრი ღვარძლიანი სიტყვა გვსმენია. ფარული საქმენი მათნი ხომ ამ სიტყვებს კიდევ წინ უსწრობდენ.

გულუბრყვილობაში ჩამოგვერთმევოდა გვეფიქრნა, რომ საერთო თავისუფლებისა და განახლების სხივები მათს შავ გულსაც ჩასწვდებოდა და ღვარძლსა და შხამს ამოუშრობდათ. პირიქით, როგორც ირკვევა, თავისუფლებამ აღვირი წახსნა იმ ბოროტ ზრახვათ, რომელთაც ჩვენს ქვეყანაში შემოხიზნული ჩვენი „მეზობლები“ გულში ფარულად ატარებდნენ.

ივერიის ეკლესიის წმინდა უფლებების აღდგენას აბა, ვინ უნდა აუმხედრდნენ, თუ არა შხამით და გესლით აღვსილი პოლიტიკოსები... საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენა პირველის შეხედვით თითქოს რუსულ ეკლესიის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ მხოლოდ პირველის შეხედვით. რუსეთის ეკლესიამ და ახალმა მთავრობამ მყისვე აღიარა საქართველოს ეკლესიაში მომხდარ ცვლილებათა სამართლიანობა. სხვაფრივ არც შეიძლებოდა რომ მომხდარიყო.

ძველმა რეჟიმმა ბორკილები დაადვა თავისუფალ ეკლესიას, თავისუფლების ხანას მისთვის ეს ბორკილები უნდა აეხსნა. არ შეიძლებოდა, რომ ადგილობრივ რუსის მრევლს პირველს დღესავე ნათლად გამოერკვია მომხდარი ცვლილებები, და ძველი რეჟიმის მომხრე წრეებმაც ამით ისარგებლეს. ამათ რუსულ მრევლში აგიტაცია და პროპაგანდა გამართეს: ქართველები ეკლესიას გართმევენ, ქართველები აქედან გერეკებიანო. მაგრამ რუსთა ადგილობრივმა სამღვდელოებამ და მრევლმა მალე გაიგეს, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენა სრულებით არ შეავიწროებს მათს ეკლესიურ ინტერესებს. საქართველოს საკათოლიკოსოში რუსული ეკლესია იქნება სრულიად ავტონომიური. მათ ეყოლებათ თავისი ეპისკოპოსი და მათი საქართველოს ეკლესიასთან დამოკიდებულება იქნება ნომინალობითი და არაფრით არ შეავიწროვებს რუსული ეკლესიის თავისუფალ განვითარებას. არამც თუ რუსული ეკლესიები, არამედ ყველა სხვა მართლ-მადიდებელი ეკლესიები, საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის ტერიტორიაზე, თავისუფლად და ავტონომიურად მოეწყობიან, თუ კი მოისურვებენ.

ამის შემდეგომ სადაო აღარა რჩება რა. ყოველგვარი გაუგებრობა იფანტება. რეაქციონერთაგან გავრცელებული ჭორები, რომ საქართველოს ეკლესია რუსულ ეკლესიას სჩაგრავს და ავიწროვებს, მიზანს ვერ აღწევს და ქარწყლდება. ქართველი და რუსი სამღვდელოება შეთანხმებას ახდენენ და ამ შეთანხმებას დააგვირგვინებს ცნობილი საეკლესიო უფლების მეცნიერი საქართველოს ეკლესიის ერთგული მეგობარი, პროფესორი ბენეშევიჩი, რომელიც ახალმა მთავრობამ გამოგზავნა საქართველოში საეკლესიო საქმეთა კომისარად.

მაგრამ „მშაკსა“ და „კავკაზსკოე სლოვოს“ ჩვენის ეკლესიას საქმეებში ხელის ფათური რომ არ დაეწყოთ, ეს ხომ ღალატი იქნებოდა იმ მოღვაწეობისა, რომელსაც ისინი ეწევიან ჩვენს ქვეყანაში. 9 აპრილის „კავკ. სლოვო“ მეთაურს უძღვნის საქართველოს ეკლესიის საქმეებს. „თბილისში ჩამოვიდა საქართველოს საეკლესიო საქმეთა კომისარი პროფესორი ბენეშევიჩი“, სწერს გაზეთი. პროფესორი ბენეშევიჩი ჯერ არ ჩამოსულა და გაზეთს ალბად, კიდევ ერთხელ დასჭირდება ამგვარის პროვოკაციულის და მძულვარებით გაჟღენთილის მეთაურის განმეორება. „ახალ კომისარის ჩამოსვლა მეტად საჭირო იყო. გადადგმულ იქმნა რამოდენიმე შემცდარი ნაბიჯი, რომელიც სინიდისის თავისუფლებას არღვევდა და ამან საქართველოს ეკლესიის გარშემო მეტად მძიმე ატმოსფერა შექმნა“, სწერს გაზეთი და ამის შემდეგომ ჩვეულებრივის თავლითობით ამხილებს საქართველოს ეკლესიის „შეცდომებს“. „ასი წლის განმავლობაში ძალმომრეობით უმორჩილებდნენ საქართველოს ეკლესიას, ეხლა კი, საქართველოს ეკლესია როგორც კი განთავისუფლდა, თვითონვე ცდილობს რუსული მრევლის დამორჩილებას. სად არის ძველსა და ახალს რეჟიმს შორის განსხვავება,—ჰკითხულობს რუსული მრევლი და ამ კითხვაზე არავითარი პასუხი არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო, ვინაიდან ძველის ეგზარხოსისა და ახალ კათოლიკოსის მოქმედებათა შორის მართლაც და არავითარი განსხვავება არ არის“. ასე ახასიათებს სომეხთა გაზეთი საქართველოს ეკლესიის თავისუფლებას. და განა მან არ იცის, რა განსხვავებაა ძველის ეგზარხოსისა, რომელიც ძალმომრეობით იმონებდა თავისუფალ ეკლესიას და ეხლად აღდგენილ საკათალიკოსოს შორის, რომელიც მხოლოდ ანხორციელებს თავის თავისუფლებას?

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. „კავკაზსკოე სლოვოს“ იმავე ნომერში გადმოთარგმნილია „მშაკის“ წერილი საქართველოს ეკლესიის შესახებ. „თბილისში ჩამოვიდა საქართველოს საეკლესიო კომისარიო“, რომ სწერდა გაზეთის მეთაური, ეს „მშაკის“ თაიგულიც იმისთვის არის აკინძული. „მშაკი“ სწერს:

„ქართველი შოვინისტები, თავიანთი აგრესიულ მოქმედებით თანისთანობით ამხედრებენ თავის წინააღმდეგ რუსებს და სხვა ეროვნებათ.

იგინი არა კმაყოფილდებიან თეორეტიულ ლოზუნგებით და თავიანთ მორეულ ჟინს პრაქტიკულადაც ანხორციელებენ. ასე მოიქცნენ ისინი ავტოკეფალიის საკითხში.

ნებას აძლევენ აგრეთვე თავიანთ თავს უმართებულოდ იმოქმედონ რუსთა, ბერძენთა და თვით სომეხთა ეკლესიის წინააღმდეგ. დიდ ხუთშაბათს საქართველოს ყოფილ ეგზარხოსს პლატონს, რომელიც ამ ჟამად დროებითი მთავრობის განკარგულებით დანიშნულია კავკასიელ რუსთა ეგზარხოსად,—ნება არ მისცეს ფერხთა ბანის წესი შეესრულებინა.

3 აპრილს იგინი შევიდნენ თბილისში რუსთა იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიაში და მოითხოვეს საყდარი მათთვის გადაეცათ. აღშფოთებულმა მღვდელმა გულისწყრომით საგზა ქადაგება წარმოსთქვა. ეკლესიაში მყოფი რუსები ყველანი უზომოდ აღელდნენ..

სოფ. ბაშკიჩეთში ბერძენთა ეკლესია დაბეჭდეს; ბერძნებმა დეპეშით პროტესტი გამოუცხადეს.

გორიდან იტყობინებიან: აქაურმა ფედერალისტებმა წინადადებით მიჰმართეს იმ სომეხთ, რომელნიც ქართულად ლაპარაკობენ—ან მიიღონ მართლმადიდებლობა და ჩამოჰშორდნენ სომხის ეკლესიას; ან სრულებით გადაიხვეწნენ საქართველოდან.

სომეხთა საეპარქიო უფროსს ეპისკოპოსს მხიტარს თელავიდან მიუღია ოფიციალი ცნობა, რომ ქართველებს ამგვარივე წინადადებით მიუმართნიათ ადგილობრივ სომხებისათვის“...

აი ყველა ის **ჭორები**, რომლითაც თბილისის რეაქციონური ელემენტები ავრცელებდენ რუსულ მრევლში, რომ წყალი აემღვრიათ და ამღვრეულ წყალში თევზი ეჭირათ, და კიდევ სხვა ჭორები, რომელნიც ალბად თვით „მშაკმა“ შეთხზა, რომ კომისარისთვის მისართმევი თაიგული უფრო ფერადოვანი ყოფილიყო. მსგავსი ჭორების შესახებ უმკვლევია ქართულ და რუსულ სამღვდელოების შეთანხმებულ კომისიას. არც ერთი ასეთი რამ არ გამართლებულა და არც გამართლდება. მრავალ-წამებულ საქართველოს ეკლესიას მრავალ საუკუნეთა მატიანით აქვს შეთვისებული სამართლიანობისა და სარწმუნოებრივ თავისუფლების შეგნება.

საქართველოს ეკლესიას ვერას დააუშავებს სომხურ გაზეთების გესლიანი ამხედრება. საქართველოში მებრძოლ სომხობის დღევანდელ მეთაურთაგან ჩვენ სხვას არ მოველოდით. ნაცვლად თანაგრძნობის გამოცხადებისა, მისალმება-მილოცვისა, მარტოოდენ ღვარძლი და ბოროტი ზრახვები? რა გაუწყობა...

ა. მან.

ზოგიერთი განმარტება ჩვენის პროგრამისათვის

ა) ეროვნება.

დაწინაურებულ ხალხთა მთელი შრომა და შემოქმედება ეროვნულ მისწრაფებით არის გამსჭვალული, ეროვნულ მიზნებს ემსახურება. ეროვნული სკოლა, მეცნიერება, ხელოვნება, ეროვნული მეურნეობა, თუ მრეწველობა სავსებით იკრებს და იწირავს თანამედროვე ერთა ქონებრივსა და სულიერ ძალებს.

ძველად ერი არ წარმოადგენდა ასე შეკავშირებულ ერთეულს. არც ეროვნული ცხოვრება იყო ასე მდიდარი და მრავალფეროვანი. ხალხი წოდებრივად იყო დაყოფილი. ქონებრივი ძალა და სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა მცირე რიცხოვან ჯგუფის ხელში იყო. დანარჩენი ხალხი უმწეო და ყოველსავე უფლებას მოკლებულ მასსას წარმოადგენდა. ამ წოდებათა შორის დიდი უფლებრივი და კულტურული განსხვავება სუფევდა. ამის გამო არ იყო გაერთიანებული ეროვნული ცხოვრება.

წოდებრივის უპირატესობების გაუქმებით და მთელი ხალხის უფლებრივად გათანასწორებით მყარდება ნამდვილი მოქალაქეობრივი ცხოვრება. უფლებრივად გათანასწორებული ერი თავს იყრის სახელმწიფოებრივსა და კულტურულ ასპარეზზე, ეს ხელს უწყობს ერის სულიერად გაერთიანებას და შეკავშირებას. სადაც ასეთი მოქალაქეობრივი ურთიერთობა დიდის ხნიდან დამყარებულა, იქ ეროვნული შეგნება და ეროვნული ცხოვრებაც გაძლიერებულა და განმტკიცებულა.

ეროვნება უმაღლესი საზოგადოებრივი არსია, საერთო უფლებრივი ურთიერთობით, ენით, ზნე-ჩვეულებით, აწმყო და წარსული ცხოვრებით შესისხლხორცებული ერთეულია.

ბ) ეროვნული მართვა-გამგეობა.

ერს თავისი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი აქვს. საჭიროა გარეშე მტერთაგან თავის დაცვა; საჭიროა წესრიგი შინაურ ცხოვრებაში, რომ არ გამეფდეს ძალმომრეობა და ერთმანეთის ჩაგვრა. საჭიროა სწავლა-განათლების გავრცელება, სამართლიანობის დაცვა, მიწად-მოქმედებისა თუ მრეწველობის განვითარება და გაძლიერება. ამ საჭიროებათა დაკმაყოფილებლად თავისუფალ ერებს აქვთ განსაკუთრებული მმართველობა, სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა. სახე-

შაბათს, 29 აპრილს, ნაშუადღევის პირველ საათზედ

სახელმწიფო თეატრში

დანიშნულია

საზეიმო ეროვნულ-კულტურული კრება

ვალერიან გუნიას

პატივსაცემად და 35 წლის მოღვაწეობის საჯაროდ აღსანიშნავად

სამწერლო, სასცენო და საზოგადო ასპარეზზედ.

1882—XXXV—1917

დაწვრილებით პროგრამა ცალკე გამოცხადდება.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

საზეიმო კრების მომწყობნი { ქართული დრამატ. საზოგადოების გამგეობა, საჯარო პატივცემის მომწყობი კომიტეტი და ქართველ მსახიობთა კორპორაცია.

იმავე დღეს საღამოს იმავ თეატრში

სადღესასწაულო წარმოდგენა

(12—645—1)

ლმწიფო აღჭურვილია სათანადო სახსრით, ძალით და უფლებით და ერის ამ მოთხოვნილებებს ემსახურება. ამ მოთხოვნილებების სავსებით დაკმაყოფილება ერს მხოლოდ მაშინ შეუძლია, როდესაც მისი ქვეყნის მართვა-გამგეობა მის საკუთარს ხელში იქნება.

ყოველი ერი უნდა სცდილობდეს, რომ მას საკუთარი, ავტონომიური მართვა-გამგეობა ჰქონდეს. კანონმდებლობა, მთავრობა, ხაზინა, სკოლა, სამართალი ერის ხელში უნდა იყოს, რომ ერის საჭიროებებს ემსახურებოდეს.

გ) პოლიტიკური წყობილება.

ძველად სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა საზოგადოების უმცირეს ნაწილს, თავად-აზნაურობას ეპყრა. მთელი ერი ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებებს იყო მოკლებული. დაწინაურებულ ერთა სახელმწიფოებრივი ცხოვრება ეხლა სულ სხვა ნიადაგზეა აგებული. წოდებრიობა მოისპო. ყველა გათანასწორებულია უფლებრივად. ყველას უფლება აქვს ჩაერიოს და მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებასა და მართვა-გამგეობაში. ძველად ერთი ხელმწიფობდა, ეხლა ერი ხელმწიფობს. მთელმა ერმა უნდა ამოირჩიოს წარმომადგენლები და ამ წარმომადგენლებმა უნდა აწარმოვონ მთელი სახელმწიფოებრივი კანონმდებლობა. ეროვნული კრება უნდა ემსახუროს და უპატრონოს ერის ყოველგვარ მოთხოვნილებებს. მან უნდა განამტკიცოს სამართალი და წესრიგი, უფლებრივი თანასწორობა და ერის ქონებრივი კეთილდღეობა.

დ) თანასწორობა და თავისუფლება.

საქართველოს მართვა-გამგეობა ქართველი ერის ხელში რომ გადავა, საქართველოს ეროვნული კრება დაჩქარებით უნდა შეუდგეს მოქალაქობრივ თანასწორობისა და თავისუფლების განხორციელებას. უფლებრივი თანასწორობა აუცილებელია სახელმწიფოებრივის ცხოვრების განსამტკიცებლად.

სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღების საშუალება ყველას უნდა ჰქონდეს. ყველა თანასწორი უნდა იყოს მთავრობისა, სამართლისა და კანონის წინაშე. ყველას მინიჭებული უნდა ჰქონდეს პირადი თავისუფლება, ვინაიდან მოქალაქეობრივი თავისუფლება აუცილებელი პირობაა პიროვნების განვითარებისათვის. მაგრამ თითეულის თავისუფლება კანონით უნდა იყოს განსაზღვრული და უზრუნველყოფილი, რომ ერთის თავისუფლება მეორისთვის არ იყოს საზიანო და შემავიწროვებელი.

მოქალაქეობრივი თანასწორობისა და თავისუფლების საშუალებით განმტკიცდება ერში ნამდვილი უფლებრივი ურთიერთობა, წესრიგი და სამართალი.

ე) ქონებრივი კეთილდღეობა.

ეროვნული ძლიერება და კეთილდღეობა მხოლოდ ეროვნულს სიმდიდრესა და ქონებრივ კეთილდღეობაზე აშენდება. ერის ქონებრივი კეთილდღეობის შესაქმნელად, საქართველოს კანონმდებლობამ უნდა განახორციელოს ყველა ის ეკონომიური ღონისძიებანი, რომელნიც ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამაშია ჩამოთვლილი. ამ გზით აყვავდება ჩვენს სამშობლოში მეურნეობა, მრეწველობა, აღებ-მიცემობა და შეიქმნება ეროვნული სიმდიდრე და საერთო ქონებრივი კეთილდღეობა. მიწად-მოქმედებისა და მრეწველობის ასაყვავებლათ საჭიროა, რომ სახელმწიფო დაეხმაროს მცხოვრებთ სამეურნეო და სატეხნიკო სწავლა განათლების გავრცელებით, მიმოსვლის გაადვილებით, იაფი სესხის მიწოდებითა და სხვა ამგვარის დახმარებით. უმამულო და მცირე მამულიან მეურნეთ სახელმწიფომ შეღავათიან პირობებში უნდა მოუპოვოს საკმაო მიწა, ტყე და საძოვარი. ამ გზით აყვავებულა დაწინაურებულ ქვეყნების ეკონომიური ცხოვრება.

სოციალისტები მოითხოვენ, რომ კერძო საკუთრება გაუქმდეს და ყოველ გვარი სიმდიდრე—ქალაქის თუ სოფლის მამულები საზოგადო საკუთრებად გადიქცეს. ეროვნულ დემოკრატიული პარტია ამის წინააღმდეგია. ადამიანი მთელს თავის ძალღონეს მხოლოდ მაშინ მოახმარს შრომასა და საქმიანობას, როდესაც დარწმუნებული იქნება, რომ ამის ნაყოფი მის უფლებასა და განკარგულებაში დარჩება და მის ქონებრივსა თუ სულიერ მოთხოვნილებებს მოხმარდება, როდესაც დარწმუნებული იქნება აგრეთვე, რომ მის შრომისა და გარჯის ნაყოფი მემკვიდრეობით მის შვილსა და შვილიშვილზე გადავა.

კერძო საკუთრების უფლების მოსპობა და ქონების განსაზოგადოებრივობა შეასუსტებს პიროვნების შრომას, მაცადინობას და შემოქმედებას. ერი ვერსად წარმოშობს იმდენს ღირებულებას და სიმდიდრეს, რამდენის წარმოშობა შეუძლიან მას, თუ კი დაცული იქნება თავისუფალ საქმიანობისა და კერძო საკუთრების უფლება.

კერძო საკუთრების მოსპობა—მოსპობა იქნება პიროვნების თაოსნობისა, ეს იქნება პიროვნების ეკონომიური შემოქმედების ჩაქრობა. ყველა ეს გამოიწვევს ერის ეკონომიურ დაქვეითებას და საზოგადოთ ცივილიზაციის შეფერხებას და თანდათან იმ მდგომარეობამდე მიგვიყვანს, როდესაც ადამიანმა არ იცოდა კერძო საკუთრება, როდესაც ყველანი ერთად სძებნიდნენ ტყეში საზრდოს, ერთად ხარჯავდნენ, ერთად იმშეოდნენ, მაგრამ ერთმანეთის შემყურენი და მოიმედენი არაოდეს არ იყვნენ სარჩო-საზრდოთი უზრუნველყოფილნი.

დაწინაურებულ ხალხთა მთელი ქონებრივი და უფლებრივი ურთიერთობა კერძო საკუთრების ნიადაგზე განმტკიცდა და კერძო საკუთრების უფლებას ემყარება.

ვ. ეროვნული და არა კლასიური პარტია.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არის ეროვნული პარტია და არა კლასიური. ის არ იცავს და არ მოითხოვს ისეთს რასმე, რაც ერთ რომელსამე წოდებისა ანუ კლასისათვის იქნება ხელსაყრელი და ერისთვის კი, შესაძლოა საზიანო და საზარალო იყოს. ის საერთოდ ერის სხეულის მთლიან და შეწყობილ ზრდა-განვითარებას ისახავს თავის მიზნად და ეროვნულ ცხოვრების თითეულ ნაწილს იმდენად მფარველობს და ხელს უწყობს, რამდენად ეს საერთოდ ეროვნულ განვითარებისათვის არის სასარგებლო და ხელსაყრელი. ის მოითხოვს მოქალაქეობრივ თავისუფლებას, ვინაიდან ეს აუცილებელი პირობაა ერის პოლიტიკურ და ეკონომიური განვითარებისათვის. ის მოითხოვს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათის უფლებების კანონით დაცვას და სოფლის მიწად-მოქმედთათვის საკმაო მიწის მიცემას, ვინაიდან შრომა უპირველესი საფუძველია ეროვნული ცხოვრებისა და მიწისა და ქალაქის მუშის დაცვა და მათი აღჭურვა საჭირო საწარმოვო და სამუშაო იარაღითა და საშუალებით, ამავე დროს მთელი ერის დაცვა-გამაგრებას ნიშნავს ეკონომიურად და ნივთიერად. ის მოითხოვს მეურნეობისა და მრეწველობის ხელის შეწყობას, საყოველთაო სწავლა-განათლებას და სამართალისა და წესრიგის დამყარებას, ვინაიდან ეს აუცილებელია ერის ბუნებრივ განვითარებისთვის და მხოლოდ ამ გზით შეიქმნება ეროვნული ძლიერება და კეთილდღეობა.

* * *

რევოლუციის დეპეშები

მოწოდება ჯაშუშობის წინააღმდეგ

პეტროგრადი. 7 აპრილი. ოფიციალი. მოქალაქენო! უკანასკნელ ხანებში დიდძალი წარმომადგენელი სხვა და სხვა პოლიტიკურ ჯგუფისა მოაწყდა მომქმედ ჯარს. თვითეული მათგანი აღჭურვილია სათანადო მოწმობით, რომელიც ხშირად გამოურკვეველია. ყველა მათგანი ღრმად დარწმუნებულია თავის სინიდისიანობაში და თავის საქციელს ფრიად სამართლიანადაც სთვლის. ამავე დროს კი, მოპირდაპირის ჯაშუშთა შიშის გამო ვთხოვთ მათ სასტიკად დაემორჩილონ საომარ წესებს. მოუწოდებთ რა მოქალაქეთ სამშობლოს ინტერესების დასაცველად, წინადვე ვაცხადებთ, რომ ჩვენ მივიღებთ მხოლოდ იმ პირთ, რომელთაც არმიის შტაბების და სამხედრო ოლქის მოწმობები ექნებათ. ყველა მოსულთ ვთხოვთ ამგვარი მოწმობებით გამოცხადდნენ. სამხედრო მინისტრის მაგიერ ხელს აწერს გენერალ-ლეიტენანტი ნოვიცკი. ყველა იმათ, ვისაც ზემოხსენებული მოწმობები არ აღმოაჩნდებათ ხან დაუზოგველად დავატყვევებთ მათის პიროვნების გამოსარკვევად.

გუჩკოვის ბრძანება

პეტროგრადი. 7 აპრილი. სამხედრო და საზღვაო მინისტრის ბრძანება № 33.

სამშობლოს ინტერესების დასაცველად, ამას წინედაც მოუწოდებდი ყველას, ერთსულოვნობისკენ და შეთანხმებულ მუშაობისთვის ფრიად საჭიროა შინაგანი წესი და მორჩილება. ახლა კი მომქმედ ჯარებიდან მოგვდის ამბები, რომ იქ ჯარის კაცები და მატროსები თავიანთი ნებით სცვლიან ოფიცრებს. ჩვენ სასტიკათ ვადევნებთ თვალყურს, რომ ჯარისკაცთა და მატროსების მიერ მოპოებული მოქალაქობრივი უფლება არ დაირღვეს, ამასთანავე არ დაუშვებთ, რომ თვითნებობით გამოსცვალოთ უფროსები. მოგმართავთ წინადადებით ამგვარი საქციელი აღარ განმეორდეს, არამედ თქვენ მიერ დაწუნებული ოფიცერი გადაეცეს უფროსებს, რათა გულდასმით იქნეს გამორკვეული მისი პიროვნება. ვაცხადებთ, რამდენადაც დაისჯებიან ახალ წესწყობილების მოწინააღმდეგენი, იმდენად სასტიკად დავსჯით თავნება დამნაშავეთ.

ხელს აწერს საზღვაო და სამხედრო მინისტრი ა. გუჩკოვი

თურქესტანი

პეტროგრადი. 7 აპრილი. ოფიციალი დადგენილება დროებითი მთავრობისა.

თურქესტანის საქმეთა მოსაწყობად დროებითმა მთავრობამ დანიშნა: სახელმწიფო სათ. წევრნი: ნ. ნ. შჩეპკინი, ბუკეიხანოვი, მუჰამედ-ხანი ტინიშპაევი, ელპატიევსკი, ლიპოვსკი, ვ. პრეობრაჟენსკი, შკაპსკი და დავლეტშინი.

პეტროგრადი. უმთავრესმა შტაბმა შეიმუშავა პროექტი, რომლის ძალითაც ის პრაპორჩიკები, რომელთაც სამხედრო-განათლების ცენზი არა აქვთ, ცხრა თვის სამსახურის შემდეგ, მიეცეს შემდეგი ჩინი პოდპორუჩიკისა, კორნეტისა ან ხორუნჟისა.

—

პეტროგრადის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, 21 ხმით, 14-ის წინააღმდეგ, დაადგინა მიიღოს ყოველ-ნაირი ზომები და ხელი შეუწყოს დროებითი მთავრობის მიერ გამოცემულ „თავისუფლების სესხის“ გავრცელებას.

სამხედრო ყრილობა

მოსკოვიდან იტყობინებიან: 9 აპრილს ოფიცერთა დეპუტატების საბჭო განიხილავს საკითხს სრულიად რუსეთის სამხედრო პირთა წარმომადგენლების ყრილობისას.

„თავისუფლების სესხი“

ოდესა. ოფიციალად ხელის მოწერის პირველ დღესვე სესხზე შემოვიდა 2.600,000 მან. წინასწარ ჩაწერით კი სულ 5 მილიონი.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების კრება ფრონტზე

მინსკი. ფრონტზე დაიწყო კრება ლაშქრის და ზურგის ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატებისა. კრება საქალაქო თეატრში ხდება. თავი მოიყარა 1200 დელეგატმა. თავმჯდომარეა მინსკის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე პოკორნი. თავმჯდომარე მიესალმა კრებას. ფეხზე ადგომით პატივი სცეს თავისუფლებისათვის დახოცილთა ხსოვნას. პოლკოვნიკი კასტკინი კრებას მიესალმა ოფიცერთა დეპუტატების და თავისუფალ ლაშქრის სახელით. ცხარე კამათი გამოიწვია პრეზიდიუმის არჩევამ. წინადადება იყო, ფრონტის თითო ლაშქრის წარმომადგენლებმა თითო კაცი კაცი აირჩიონ. ამ წინადადებამ ჯარისკაცთა პროტესტი გამოიწვია, ჩვენ აქ უმრავლესობას შევადგენთ და პირველობაც ჩვენი უნდა იყოსო. შემდეგ აღიძრა საკითხი ოფიცერთა წარმომადგენლების არჩევისა. ამას ოფიცრებიც და სალდათებიც წინააღუდგნენ. ფრონტზე ოფიცრებსა და სალდათებს ცალკ-ცალკე ორგანიზაციები არა გვაქვს და ოფიცრებიც იგივე სალდათები არიანო.

მთავრობის განკარგულებანი

9 აპრილი.

პეტროგრადი. დროებითს მთავრობის განკარგულებით წითელ ჯვრის მთავარ სამმართველოში დაარსდა ცენტრალი კომიტეტი, რომელმაც ტყვეებისათვის უნდა იზრუნოს. იგი შეაკავშირებს ყველა ამგვარ დაწესებულებებს.

მთავრობის დადგენილებით უნდა გაუქმდეს: 1) მისი უდიდებულესობის განსაკუთრებული კანცელარია და სამოქალაქო უწყებათა მოხელეების და საჩუქრების კომიტეტი; 2) ამავე კანცელარიის და საინსპექტორო განყოფილების არქივები გადაეცეს სახელმწიფო არქივს. 3) შეჩერდეს გამოცემა პირველ 4 კლასის მოხელეების სიების გამოცემა; 4) ადრეს-კალენდრის გამოცემა უმართებულეს სენატის მესამე დეპარტამენტს მიენდოს; 5) 500,000 მან., განსაკუთრებულ კომისიის ხელში რომ იყო, გადაეცეს იმ დაწესებულებას, რომელშიაც თხოვნების მიღება გადავა.

ვადა ჯარიდან თავის ნებით წასულთა გამოცხადებისა, რომელიც მარტის 17 1917 წ. იყო დადებული (6 მუხ. 2 განყ.) გადაიდოს მაისის 15 დის 1917 წ.

ხმის უმრავლესობამ გადასწყვიტა, პრეზიდიუმში აირჩეს სამ-სამი წარმომადგენელი თითო კერძო ლაშქრისა, ორ-ორი წარმომადგენელი თითო სათადარიგო ნაწილებისა. ორ-ორიც ზურგის მუშათა და მუშათა დეპუტატებისა. თავმჯდომარედ დაასახელეს პოზერნი. ფრონტიდან მოსულები თხოულობდნენ თავმჯდომარედ სალდათს, დაასახელეს სალდათი სოროკოლეტოვი, იგი ესტრადაზე გაიწვიეს. სოროკოლეტოვი გამოვიდა იარაღში ჩამჯდარი. ძლიერი ტაშით და ურათი შეხვდნენ. სოროკოლეტოვმა სთქვა, გუშინ სამეთვალყურო კოშკზე ვიჯექ და მტერს თვალ-ყურს ვადევნებდი, დღეს კი მოველ მოქალაქის ჩემი მოვალეობა შევასრულოო. მე სოციალისტ-რევოლიუციონერი ვარო. პოზერნი ამბობს სოციალ-დემოკრატი ვარ და პეტროგრადის მუშათა და სალდათთა საბჭოს მოაზრე ვარო. თავმჯდომარედ აირჩიეს პოზერნი. მის ამხანაგათ სოროკოლეტოვი. თეატრს დიდძალი ხალხი მიაწყდა. ხალხს სიტყვა უთხრა როძიანკომ. საღამოს კრებაზე ილაპარაკეს როძიანკომ, გურკომ, როდიჩევმა და მასლენიკოვმა. საფრანგეთის ლაშქრის სახელით კრებას მიესალმა რონჟერი, ინგლისის ლაშქრის სახელით კი მაიორი ტორჩასი. წაიკითხეს მისალოცი დეპეშები.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყაზახ გოლოვკას სიტყვამ. ყაზახები პირველნი მიემხრნენ რევოლიუციას და მუდამ მედგარი დამცველნი იქნებიან დემოკრატიისაო.

კრებაზე მოვიდნენ ჩხეიძე, წერეთელი, სკობელევი და სიტყვები წარმოსთქვეს.

უწესოებანი ფინეთში.

ჰელსინგფორსი. ჰელსინგფორსის აღმასრულებელმა კომიტეტმა მოწოდება გამოსცა, სადაც ხალხს აფრთხილებს, ისეთ საქმეს ნუ ჩაიდენთ, რაც ფინეთის შინაურ საქმეებში ჩარევა იქნებაო.

* * *

ეროვნული საკითხი

კიევი. პოლონეთის სახელმწიფოს დროებითმა მთავრობამ დეკლარაცია გამოსცა. ამ დეკლარაციის გამო, უკრაინელთა კრებამ გადაჭრით პროტესტი განაცხადა, რომ პოლონელებმა არაპოლონურ მიწებს ხელი შეახონ. უკრაინელი ხალხი თავის სისხლით მორწყულ საკუთარ მიწა-წყალს არავის დაუთმობს. კრებამ დაავალა ცენტრალ ძალას, ეროვნულ უმცირესების წარმომადგენლები გაიგზავნონ უკრაინის ავტონომიის სტატუტის შემამუშავებელ კომისიაში, მას შემდეგ, როცა სტატუტი უკრაინის კონგრესს წარედგინება დასამტკიცებლად. უკრაინის ავტონომიის დადასტურება რუსეთის დამფუძნებელ კრების საქმეა, მაგრამ დამფუძნებელ კრების მოწვევამდის აუცილებლივ საჭიროა უკრაინის ავტონომიის საფუძვლების შექმნა.

* * *

ომის დეპეშები

მთავარ ბანაკის ცნობა.

9 აპრილი

პეტროგრადი. დასავლეთის, რუმინეთის და კავკასიის ასპარეზებზე სროლა და ზვერვაა.

10 აპრილი.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. ვლადიმირ-ვოლინის მიმართულებით, შელვოვის მიდამოებში, მოპირდაპირის ერთმა როტამ იერიში მოიტანა, თან ზარბაზნებს და ყუმბარისმტყორცნელებს გვიშენდა, მაგრამ თავისსავე თხრილებში გავაბრუნეთ. ზბოროვის მიდამოებში მოპირდაპირე წითელი და თეთრი დროშებით გამოვიდა თხრილებიდან, მაგრამ შევაჩერეთ. ბრზეჟანის სამხრეთით მოპირდაპირემ ნაღმი აგვიფეთქა ჩვენსა და მტრის მავთულების ხლართის შუა.

რუმინეთის ასპარეზი. კეზდივეზარჰელის მიმართულებით მოპირდაპირის ჯარმა იერიში მიიტანა და ჩვენს ჯარს უკან დაახევინა, მაგრამ სამაგიერო იერიშით ჩვენი მდგომარეობა აღვიდგინეთ. ბრაილოვის ჩრდილო დასავლეთით, კოტულიონგის მიდამოებში ჩვენ მარჯვედ ვუშენდით მძიმე ზარბაზნებს მოპირდაპირის მოვარჯიშე ბატალიონებს.

კავკასიის ასპარეზზე სროლა და ზვერვაა.

სპარსეთში, ჩვენი ჯარის ზურგის მხარეს სპარსელები და ქურთები ანადგურებენ ჩვენს სატელეგრაფო და სატელეფონო მავთულებს.

რიგა. აქ მიღებულ ცნობებით, ლიბავიდან ზღვაში გასულა გერმანელების ძლიერი რაზმი სამხედრო გემებისა სადესანტო ჯარით. რა განზრახვით ან საით გაემართნენ გემები ჯერ გამორკვეული არ არის.

იტყობინებიან აგრეთვე, რომ კილის არხიდან ბალტიის ზღვაში გამოსულან გერმანელების სამხედრო გემები.

ზავის გარშემო

ნიუ-იორკი. ლონდონის კონგრესზე ერთად-ერთმა სოციალისტმა განაცხადა: სეპარატიული ზავი რუსეთისა და გერმანიისა დემოკრატიულ ევროპის საქმეს შეაფერხებდა. რუსი სოციალისტები, საფრანგეთის სარევოლუციო აზრებით აღზრდილი, ფრანგებს მარტო არ დასტოვებენ ბრძოლის ველზე. სეპარატიული ზავი საფრთხეს წარმოადგენს არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი ქვეყნის მშვიდობიანობისათვისაო.

საფრანგეთი.

პარიზი. 7 აპრილი. დღის ოფიციალი ცნობა. სენ-კანტენის სამხრეთით მოპირდაპირის არტილერია ინტენსიურ ცეცხლს აწარმოებდა. ჩვენი არტილერია ენერგიულად უპასუხებდა. ლაფეს მიდამოებში საკმაოდ წავიწიეთ და თან გერმანელთა იერიშებს ვიგერიებდით. ფოკლერის მთაგრეხილთან და პურსის სამხრეთ-აღმოსავლეთით ხელით სასროლს ვამოქმედებდით. პუავრის აღმოსავლეთით 250 დავატყვევეთ.

შამპანებში მოპირდაპირემ დაიხია. მორანო-ვილიეს მიდამოში მტერმა კონტრ იერიში მოიტანა. მას ჩვენმა არტილერიამ უპასუხა და დიდად დააზარალა. დავატყვევეთ 20 კაცი. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში შესანიშნავი არა მომხდარა რა. 3 აპრილიდან ჩვენმა მფრინავებმა გერმანელთა 10 აეროპლანი და 2 გველონა აეროსტატი ჩამოაგდეს.

პარიზი. საღამოს ოფიც. ცნობა. სოფელი სანსი ავიღეთ, 6 საათზე, ზარბაზნების მედგარი დაშენის შემდეგ, გერმანელებმა დიდძალი ქვეითა ჯარის იერიში მოიტანეს, მაგრამ ზარბაზნებით და ტყვიის მფრქვევლებით მოვიგერიეთ. ცხარე ბრძოლა გრძელდება ზარბაზნებით.

იტალია

რომი. 7 აპრილი. ოფიციალი ცნობა იტალიეთის ბანაკისა. ჯუდიკარიის და ლაგორინის ველებში მტრის არტილერია მოქმედობდა, მოპირდაპირე არტილერიის ცეცხლით ესროდა კარსოს ჩრდილოეთით ნაწილს.

ინგლისი

ლონდონი. 7 აპრილი. ოფიციალი ცნობა მესოპოტამიაში საბრძოლო მოქმედების შესახებ 5 აპრილიდან. 4 აპრილს ღამით, ჩვენმა ჯარებმა სცადეს შატ ელ-ადხემიში გასვლა. წინააღმდეგობას უწევდა ოსმალთა მე-8-ე კორპუსი. 5 აპრილს, იერიში მივიტანეთ მოპირდაპირეთა მთავარ ბინაზედ, რომელიც იწყება ისტაბულლატის სადგურიდან, ტიგროსის მარჯვენა ნაპირზე. მოპირდაპირე ვაოტეთ. დავლა ჯერჯერობით არ არის გამორკვეული. 7 ოფიცერი და 1217 ჯარის კაცი დავატყვევეთ. ჩვენ დავკარგეთ 73 კაცი. კავალერიამ თავი დიდად ისახელა.

ბრძოლა ზღვაზე

სტოკჰოლმი. [illegible] იტყობინებიან: ვინგა-მასტრანდის მხრივ ძლიერი სროლის ხმა ისმოდა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით (დანიისა და შვეციის შუა) 50 ჯერ მოისმა მძიმე ზარბაზნების ხმა.

* * *

ჟურნალ-გაზეთებიდან

კაიზერის ბრძანება.

დირბერგში კაიზერმა ჯარს შემდეგი სიტყვით მიმართა: „თქვენ უნდა შემუსროთ აღმოსავლეთის ძლიერი და გაიძვერა, არეულობისაგან სულთმობრძავი იმპერია. გიბრძანებთ, თქვენი ძლევამოსილი დროშა ააფრიალოთ რუსეთის სატახტო ქალაქში“.

ზავის გარშემო.

დანიის გაზეთები გადმოგვცემენ: ინგლისსა და გერმანეთს ზავზე მოლაპარაკება აქვთ გამართული. ამბობენ, ომი მაისის დასაწყისში დასრულდებაო.

რუსეთის ასპარეზი.

გაზეთების ცნობით, რუსეთის ჩრდილოეთ-დასავლეთის და გალიციის ბრძოლის ხაზზე გერმანელებს დიდძალი ჯარი გადმოჰყავთ. რუმინეთის ასპარეზიდან გერმანელები მიჰყავთ და მათ მაგიერ ავსტრიელებს აყენებენ.

ბალტიის ზღვაში.

მოსკოვიდან იტყობინებიან: გერმანელების ძლიერი ფლოტი კილიდან დანციგს გაემართა და მერე ლიბავაში მივიდა. ამბობენ, დიდი მზადება აქვთ სადესანტო ჯარის გასაგზავნადაო.

მაკენზენი.

ბერძნული გაზეთების ცნობებით, მცირე აზიაში ოსმალთა ჯარის გენერალისიმუსად მაკენზენი დაინიშნა.

მეორე ცნობით, მაკენზენი დაუნიშნავთ პალესტინის, მესოპოტამიის და კავკასიის ასპარეზების მთავარსარდლად. მაკენზენი 25 მარტს სტამბოლში გამგზავრებულა, მაგრამ სოფიაში მისვლისას მეფე ფერდინანდთან უთათბირია და მაკედონიისაკენ გამგზავრებულა.

* * *

უკანასკნელი ცნობები

ამერიკის კონგრესის წევრმა მეიერმა ჩხეიძეს დეპეშა გამოუგზავნა. მეიერი სთხოვს ჩხეიძეს, ავტორიტეტიულად ამცნოს ქვეყანას, რომ რუსეთის დემოკრატიას სეპარატიული ზავი არა სურსო. მუშათა დეპუტატების საბჭომ უპასუხა მეიერს, რუსეთის დემოკრატიას სეპარატიული ზავი კი არა სურს, არამედ მსოფლიო ზავიო. ზავი უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ უნდა იყოსო.

—

უკრაინელთა ეროვნულ კრებაზე მოვიდნენ არა თუ მარტო უკრაინის სოფლებისა და ქალაქების წარმომადგენლები, არამედ მოვიდნენ პეტროგრადიდან, მოსკოვიდან, ოდესიდან, ნიკოლაევიდან, ტომსკიდან და სხვა შორეულ ქალაქებიდან. კრებამ შემდეგი რეზოლუცია მიიღო: „ისტორიულ ტრადიციებისა და უკრაინელთა ეროვნულ საჭიროებები თანამედროვე რეალურ მოთხოვნილებათა მიხედვით უკრაინას მხოლოდ ეროვნულ ტერიტორიალური ავტონომია განამტკიცებს, ჩვენი ხალხის და უკრაინაში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა საჭიროებებს. ასეთ ავტონომიურ მოწყობილობას როგორც უკრაინისას, აგრეთვე რუსეთის სხვა ეროვნებათა ავტონომიისას რუსეთის საერთო წყობილებაში სრულს გარანტიას შეიძენს. ამიტომ რუსეთის სახელმწიფოებრივ წყობილების ერთად-ერთ ფორმად უკრაინელთა კრება ფედერატიულ რესპუბლიკას აღიარებს.

ახალი ამბავი

◆ **საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი სთხოვს პარტიის თანამგრძნობ ახალგაზრდობას და მოსწავლეთ შემოიარონ კომიტეტის ბიუროში სამშაბათს და ოთხშაბათს (ლორის-მელიქოვის ქ. სახლი ქართული ბანკისა) დილის 11 საათიდან შუადღის 3 საათამდის და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდის საჭირო საორგანიზაციო საკითხზე მოსალაპარაკებლად.**

საქ. ეროვნ. დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი.

◆ **პროფ. ივ. ჯავახიშვილი პეტრეს ქალაქიდან თბილისში ჩამოვიდა.**

◆ **ღვთისმეტყველება. უმაღლეს სასწავლებლებში სახალხო განათლების სამინისტროს დადგენილებით მართლმადიდებელ სარწმუნოების სტუდენტებისათვის სამღვთისმეტყვე-**

ლო ეჯზამენს სავალდებულო ხასიათი ეკარგება და ამიერიდან ფაკულტატიურად იქმნება.

◆ **ამიერ-კავკასიის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის ბიურომ**, 5 აპრილის სხდომაზე დაადგინა: ხელი შეუწყოს ახლად დაარსებულ ქვანახშირის შემძენ-მომწესრიგებელ კომისიის მოქმედებას. 2) შეაერთონ ყველა ქვანახშირის საქმეში მომუშავე ორგანიზაციები. 3) ეთხოვოს სამხედრო სამთო-სამრეწველო ცენტრალურ კომიტეტს 4 მილიონი მანეთი მოქმედების გასაძლიერებლად. 4) ეთხოვოს ამიერ-კავკასიის კომისარიატს ზომები მიიღოს ჭიათურის მარგანეცის გაზიდვის შესაჩერებლად და ქვანახშირის კომისიას გადაეცეს რკინის გზის ლიანდაგი და ვაგონები. 5) გადაიდვას 500.000 მანეთი გელათის და მეფემიდის მიდამოებში ქვანახშირის ადგილების დასამუშავებლად და მანამდის კი იქ გაიგზავნოს გამოცდილი ინჟინერი ადგილების კარგად შესასწავლად.

◆ **ხარფუხის კლუბი** (ახალი საკრებულო). წლიური კრება კლუბის წევრთა მოხდა 9 აპრილს. თავმჯდომარეობდა ს. მგალობლიშვილი. განხილულ და დამტკიცებულ იქმნა წარსული წლის ანგარიში და მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვა. კრებაზე სურვილი გამოითქვა, რომ თანდათან შემცირდეს კლუბში მანქოსა და ლოტოს თამაში და ფართო ადგილი დაეთმოს ლექციებისა და რეფერატების კითხვას, საზოგადოდ პოლიტიკური ელფერი დაედვას კლუბს. შემდეგ არჩეულ იქმნენ კლუბის მამასახლისებად: ა. ადამიძე, ი. არდაზიანი, ა. ბერელაშვილი, ი. გაბუნია, დ. დუმბაძე, ვ. ზურაბიშვილი, ნ. ლეჟავა, ი. რაზმაძე, ლ. ჩიტაძე, ეფენდიევი და კოტრინი.

◆ **გაფუჭებული აბრეშუმის ჭიის თესლი.** საჩივრით გამოირკვა, რომ ზოგიერთი ვაჭრები გაფუჭებულ აბრეშუმის (ყაჰის) თესლს ასაღებენ სოფლელებზე. ამის გამო აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა რეკვიზიციის წესით ჩამოერთვას პატრონებს გაფუჭებული თესლი, ამ დადგენილების შესრულება მიენდო სპეციალისტებს ი. გ. ქუთათელაძეს, ზეინალ-ბეგ სულთანოვს და ბეგრიკიანს.

◆ **კავკასიის** სამხედრო ოლქის უფროსად, ნაცვლად, გენერალ ვოლსკისა, ახსენებენ პოლკოვნიკ ახმეტელს, რომელმაც თავი ისახელა ეხლანდელ ომში.

◆ **დაატუსაღეს** 8 აპრილს პოლკოვნიკი ბასოვი, რომელიც მეფის ნაცვლის მცველად იყო.

◆ **მოხელეთა ყრილობა.** 6 აპრილს თბილისში დაიწყო თბილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მეტყევეებისა და მცველების ყრილობა. კრებამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა მიწადმოქმედების მინისტრს შინგარიოვს და შემდეგი დადგენილებანი გამოიტანა: 1) შეადგინონ კავშირი, რომელიც მხარს დაუჭერს დროებით მთავრობას ახალ წეს-წყობილების დასამყარებლად და რომელიც მჭიდრო კავშირს იქონიებს სხვა სარევოლიუციო ორგანიზაციებთან, 2) დაიცვან განადგურებისაგან ტყეები და ამისთვის დაუახლოვდეს სოფლის ორგანიზაციებს; 3) არჩეულ იქმნას ბიურო ტყის შესახებ სხვა და სხვა საკითხების გადასაწყვეტად. ამ ბიუროში წევრებად უკვე აირჩიეს ზ. ი. ლომინაძე, ს. ე. ამაშუკელი, ი. ფ. იუზბაშევი, ი. ო. როშჩინი, ფ. ი. კოლტუნი, ოზდოევი და ურარბანოვი. მათ კანდიდატებად პ. ნ. ლუგრონენკო. კრება არ დამთავრებულა.

◆ **კიტა აბაშიძის** ავადმყოფობა გრძელდება. მოწვეულ იქმნა ექიმთა კონსილიუმი. დაესწრნენ ექიმები: გ. მაღალაშვილი, მუხაძე, ღამბაშიძე და ვირსალაძე. მათის აზრით, ავადმყოფს ნერვებთა შუა ნევრალგია აქვს და სრული სიმშვიდე სჭირდება. ჯერ არ იციან, რამდენს ხანს გასტანს ავადმყოფობა. მუდმივად სწამლობს ექ. პს. ვირსალაძე.

◆ **დ. ჰიაბრიშვილი**, დუშეთის კომისარი ბრმა ნაწლევის ანთებით არის ავად. სწამლობენ ექიმები შალვა მიქელაძე და ვას. მანსვეტაშვილი.

◆ **ახალი პიესა.** პ. ირეთელი სწერს ახალ პიესას „**გამარჯვებულნი**" 4 მოქმ. პიესის შინაარსი აღებულია დღევანდელი რევოლიუციის ხანიდან და პირდაპირი გაგრძელებაა მის წინანდელ პიესის „დამარცხებულნი"-სა.

◆ **დიდი საეთნოგრაფიო კონცერტი.** ჩამოვიდა ჩვენი მუსიკოსი კ. ფოცხვერაშვილი, რომელიც ამ მოკლე ხანში გამართავს დიდ საეთნოგრაფიო კონცერტს კონცერტში უმთავრესად აღსრულდება გურულ-აჭარული სიმღერები და ძველი ქართული ცეკვათამაში. შესრულებული იქნება ქართული ცალფა და საგუნდო სიმღერები, ჩონგურის, სტვირის და ფანდურის კილოები. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ქართველ მუსულმანთა მოცეკვავენი და მეფანდურენი, რომელნიც, სხვათა შორის, შეასრულებენ ძველ ქართულ იშვიათ ჯგუფურ ცეკვას ხორუმს.

◆ **სამხედრო ექიმთა კრება.** 9 აპრილს მოხდა ბრძოლის ასპარეზის ექიმთა კრება. რამდენიმე მოხსენება იქმნა წაკითხული. აშკარად დამტკიცდა დიდი უთავბოლობა და ბოროტმოქმედება ბრძოლის ველზე სამკურნალო-სასანიტარო საქმეებში; მაგალითად, ხშირად შეუძლებელი ყოფილა დაჭრილისათვის ოპერაცია გაეკეთებინათ; საზრდოობის მხრივ საქმე უფრო ცუდად ყოფილა; ზოგიერთი ექიმი ტრანსპორტში მსახურებდა თურმე, მაშინ როდესაც განმანაწილებელ გოსპიტლების უფროსად ზოგან ბეითლები ყოფილან; ბაქტეროლოგის როლს ისეთები ასრულებდნენ თურმე, რომელთაც მიკროსკოპი თავის დღეში არ აუღიათ ხელში. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ექ. ვ. ღამბაშიძის მოხსენებამ, რომელმაც აშკარად დაამტკიცა, რომ სამხედრო სამკურნალო ნაწილის მესვეურნი მტრულად ეკიდებოდნენ ქალაქთა კავშირის ლაზარეთების და დაჭრილ-დაავადმყოფებულ მხედრებს არ გზავნიდნენ იქ, მაშინ როდესაც სამხედრო უწყების ლაზარეთებში ერთი თავისუფალი ადგილიც არ მოიპოვებოდა და დაჭრილი ჯარის კაცები იატაკზე იწვნენ. აგრეთვე გამოაშკარავდა, რომ ბევრი უფროსი ექიმები ერთობ ეტანებოდნენ სასმელებს და თავგაბრუებულები საზიანო განკარგულებას იძლეოდენ. კრებამ დაადგინა, რომ 28 აპრილს საერთო ყრილობა მოახდინოს, რომელსაც დაესწრებიან ექიმები, ფერშლები და სანიტარები. ამ ყრილობაბამ ძირითადი ცვლილება უნდა მოახდინოს სამკურნალო სასანიტარო ორგანიზაციაში.

◆ **უბედური შემთხვევა.** 9 აპრილს ლისის ტბაზე საექსკურსიოდ წასულან გიმნაზიის მოსწავლენი, ქალები და ვაჟები. რამდენიმე მოსწავლე 2 ნავით ტბაში შეცურებულა, მაგრამ ნავებში წყალი შესულა და ერთი ნავი გადაბრუნებულა. დამხრჩვალან ქართული გიმნაზიის მოწაფენი ერისთავი და კლდიაშვილი, დანარჩენნი ცურვით გამოსულან ნაპირზე.

◆ **თბილ ადგილებში მოკალათებულთ ბრძოლის ველზედ იწვევენ.** სარწმუნო წყაროებიდგან გვატყობინებენ, რომ 218 პოლკის ჯარისკაცთა საბჭოში საკითხი აღძრულა იმ მეომართა შესახებ, რომელნიც აქამდე ბრძოლის ველიდგან თავს იფარავდენ და თავდაცვის სამსახურში იმყოფებოდნენ. საბჭოს დაუდგენია, რომ ასეთი პირები და აგრეთვე ის ჯარებიც, რომელნიც საპოლიციო სამსახურს ასრულებდნენ ძველად, ბრძოლის ველზედ გაიგზავნონ და მათს ნაცვლად იქიდან მოიყვანონ ახალი ძალები. საკითხი აღძრულა აგრეთვე 218 პოლკის პრაპორშჩიკის და ეხლანდელ ქალაქის კომისარის ბ-ნ პოპოვის შესახებაც, რომელსაც რამდენიმე წელია, რაც ოფიცრობა მიუღია, მაგრამ დღემდე თბილისში იმყოფებოდა და პურის საქმეებს განაგებდა. დაუდგენიათ, რომ ისიც ჩვეულებრივის წესით თავისის როტით ბრძოლის ველისკენ გაემგზავროს; აღმასრულებელ კომიტეტიდან უკვე თავის პოლკში გაუწვევიათ.

მარტყოფში (ტფ. მ.)

ჩვენს სოფელში დარბაისელი ხალხი გაინაპირეს ბიჭ-ბუჭებმა და მთელი ბედ-იღბალი სოფელ მარტყოფისა, რომელიც შეიცავს 1300 კომლს მათს ხელში ჩავარდა. აღმასრულებელ კომიტეტშიაც ღლაპები მოჰყვნენ. ნაცვლად იმისა, რომ ხალხი შეაერთონ, რასაც მოითხოვს ახლანდელი ხანა, ისინი ავრცელებენ ხალხში ერთმანეთის სიმშურნეს და ერთმანეთსა ჰკიდებენ. ხალხს რაღაც შიშის ზარსა სცემენ და ტერორს ავრცელებენ სხვა და სხვა მუქარებით.

მირზაანი (სიღ. მ.)

აქაურ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წლიურ კრებაზე ამხანაგობის წევრმა სტეფანე ალადაშვილმა უკვე გასულ ხაზინადარს მღვ. ილია ალადაშვილს ბრალი დასდო—სამსახურის დროს ბოროტმოქმედება ჩაიდინაო. საზოგადოებას იმედი აქვს, რომ ამხანაგობის თავმჯდომარე დ. გონაშვილი საქმის ნამდვილ ვითარებას გამოაცხადებს.

მეჯვრისხევი (გორ. მ.)

21 მარტს ოცისთავების არჩევნები იყო, რაღაც სასწაულით მათს შორის იქმნა არჩეული კოლია სარაული, კაცი მეტად ბინძურის წარსულისა. ხალხი დრტვინავს.

თელავი.

ამ დღეებში „ტყის ძმებმა" სოფ. ყანდაურში შეიპყრეს ის სამი ავაზაკი, რომელთაც ამ ცოტა ხანში შილდაში ამოსწყვიტეს მთელი ოჯახი ალ. ელიზბარაშვილისა.

საქართველოს საკათალიკოსო

ბორჯომი. ჩემის საკუთილმწყსოს სამღვდელოება აღფრთოვანებით ეგებება იბერიის ავტოკეფალურ ეკლესიის აღდგენას. ღრმათა ვართ დარწმუნებულნი, რომ ღვთის მშობელი და წმ. ნინო არ დასტოვებენ უფლება აყრილად თავიანთ წილ-ხვედრ საქართველოს.

დეკანოზი გორგაძე.

თელავი. თელავის მაზრის სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კრება, სიხარულით ეგებება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას და უსურვებს განმტკიცებას ქართველ ერის საკუთილდღეოდ.

თავმჯდომარე ჭიკაძე.

ლაგოდეხი. სიხარულით ვეგებებით საქართველოს ეკლესიის აღდგენას. გთხოვთ შეგვატყობინოთ, რომელ მთავრობასთან ვიქონიოთ ამიერიდგან დამოკიდებულება, სამსახურის გამო.

მღვდლები: დ გოცირიძე და სხ.

—

პეტროგრადი. (დეპეშით). ხუთშაბათს საღამოთი, პროფესორი ბენეშევიჩი გამოემგზავრა თბილისს. აქაური ქართველი კომიტეტი დარწმუნებულია, რომ მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ აქტით, ჩვენს ეკლესიას ეძლევა საშუალება თავისუფალ განვითარებისა და თვითმმართველობისა, რაიც მომასწავებელია დიდებულ ბედნიერებისა. ამიტომ ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს ეკლესიის მოღვაწენი პროფესორ ბენეშევიჩთან ერთად, საჩქაროდ შეიმუშავებენ იმ შეურყეველ გზას, რომლითაც დაუყონებლივ განახორციელებენ და ცხოვრებაში გაატარებენ საქართველოს ეკლესიის გამოქვეყნებულ ავტოკეფალიას.

ზურაბ ავალიშვილი.

სტუდენტების კრება

პარასკევს, 7 აპრილს, ახალი კლუბის შენობაში გაიმართა ქ. თბილისში მყოფ სტუდენტთა კრება. კრებამ აირჩია თავმჯდომარედ სტ. სიმკევიჩი და მდივნად ხუციშვილი. კრების მომწვევ ჯგუფის სახელით ვრცელი მოხსენება წარმოსთქვა სლ. მიშკევიჩმა. მოხსენებაში, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ კავკასიაში იწყება ნაციონალური მტრობა, ჩვენ მალე გავხდებით ქართველ-სომეხთა შეჯახებისაო და ამის საწინააღმდეგოდ საჭიროა სტუდენტთა მტკიცე ორგანიზაციაო. მომხსენებლის ამგვარმა სიტყვებმა კრებაზე დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ბევრმა ორატორმა ილაპარაკა და ყველამ აღნიშნა, კავკასიის ეროვნებათა შორის მტრული განწყობილება არ არის და მათს შეტაკებაზე ფიქრი შეცდომააო. მართალია, აქა-იქ პატარა ექსცესებს ჰქონდა ადგილი, მაგრამ ეს პროვოკაციის ბრალია. ამ შემთხვევაში ჩვენ არავითარ შიშს არ უნდა განვცდიდეთ და უნდა ვერიდოთ ამხ. მიშკევიჩისებურ გამოსვლებს.

კრებამ ამ საკითხის შესახებ გამოიტანა შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია, რომელიც უნდა გადაეცეს ამიერ კავკასიის კომისარიატს: ქ. თბილისში მყოფ სტუდენტების კრებამ მოისმინა რა მოხსენება ამხანაგისა, სადაც აღნიშნულია, რომ ამიერ კავკასიის ეროვნებათა შორის იწყება მტრობა და მალე მოსალოდნელია მათი შეტაკებაო, პროტესტს უცხადებს ასეთ მოხსენებას და ამგვარი ხმების გავრცელებას სთვლის პროვოკაციად. ამიერ-კავკასიის სტუდენტობა კარგათ იცნობს მკვიდრ ეროვნებათ და სწამს, რომ საქართველოს, სომხების, თათრების და რუსების დემოკრატია შეერთებული იბრძოდა და იბრძვის ძველ რეჟიმის სრულ დასამხობათ და რევოლიუციის განსამტკიცებლათ. დანარჩენ კითხვების გასარჩევად კრება შემდეგისთვის გადაიდო.

მადლობის წერილი

შლისენბურგის ციხიდან განთავისუფლების შემდეგ მე და ჩემთან მყოფ პოლიტიკურ დამნაშავე-ამხანაგებს დიდი დახმარება აღმოგვიჩინა პეტროგრადის ქართველობამ, რისთვისაც დიდს მადლობას მოვახსენებთ.

ალ. პაპიაშვილი.

უკრაინელთა კრება

9 აპრილს „ხარფუხის" კლუბში გაიმართა უკრაინელთა კრება. კრება გახსნა ივანიცკიმ და წარმოსთქვა მისასალმებელი სიტყვა უკრაინულ ენაზე. შემდეგ აირჩიეს პრეზიდიუმი. პირველად კრებას მიესალმენ თვით თავმჯდომარე უკრაინულ ენაზე და წარმომადგენლები ქართველ მხედრობათა კავშირისგან: ვახტ. მუსხელიშვილი რუსულ ენაზე და ერთი ჯარის კაცი ქართულ ენაზე. მიესალმა კრებას აგრეთვე ქართულ ეროვნულ დემოკრატიული პარტიის სახელით ბერძენიშვილი და ებრაელთა კულტურულ საზოგადოების წარმომადგენელი. შემდეგ წაკითხულ იქმნა საორგანიზაციო კომისიის მოხსენება და წესდების პროექტი.

არსდება უკრაინელთა საზოგადოება. ამ საზოგადოების გამგეობაში აირჩიეს საორგანიზაციო კომისიის ყველა წევრები, სამი სხვა ჯარის კაცი, ერთიც ყაზახი. კრებამ გადასწყვიტა მიესალმოს უკრაინის გამოჩენილ მოღვაწეებს, გრუშევსკის და ბრგას, უკრაინის დროებით მთავრობასთან არსებულ კომიტეტს, დროებით მთავრობას, ამიერ-კავკასიის კომისარიატს და მუშათა და ჯარის კაცთა დეპ. საბჭოს.

კრებაზე მოხდა უკრაინელთა საზოგადოებაში წევრთა ჩარიცხვა, და მათი საწევრო გადასახადის მიღება. სულ შეგროვდა 921 მან. და 60 კაპ. ბოლოს, კრებაზე შესრულებული იქმნა ნაციონალური გიმნი ტარას შევჩენკოსი „აღთქმა" და კრება დაიშალა.

რა სჭირია საქართველოს ეკლესიას?

წერილი მეხუთე.

საქართველოს ეკლესიას, როგორც იურიდიულს ერთეულს, სჭირია მართვა-გამგეობა. ეკლესიის ხელისუფლებად იგულისხმება რწმუნებულება ეკლესიისათვის საჭირო, ანუ ეკლესიისგან გამომდინარე. ეს რწმუნებანი არიან შემდეგნი: ა) უფლება სწავლისა; ბ) უფლება მღვდელ-მოქმედებისა; გ) უფლება მწყემსობისა, მღვდლის მოვალეობაა ადამიანის ღმერთთან დაახლოვება, მისწრაფება ჭეშმარიტებისა და ზნეობრივ სისრულისადმი.

ეკლესიის ხელისუფალნი იყვნენ თავიდანვე: 1) ეპისკოპოზი (ზედამხედველი=უზენაესი მზრუნველი); 2) ხუცესი; 3) დიაკონი, მსახური (აღმასრულებელი ორგანო). მათს მოქმედებას შეადგენდა: სჯულ-მდებლობა, ხელისუფლება და მართლ-მსაჯულება.

მე-4 და მე-5 საუკუნოებში გამომუშავდა ახალი გრადაცია. გაჩდენ: მიტროპოლიტები, მთავარ-ეპისკოპოსები, ექსარხოსები, პაპები, პატრიარქები და ჩვენში კათალიკოსები. უდიდეს ინს-

ერი და რევოლიუცია

I

თითქმის თვე ნახევარი გადის მას შემდეგ, რაც რუსეთმა პირველად ამოისუნთქა თავისუფლად. საკვირველია სწორედ! ვინ იფიქრებდა 24 ან 25 თებერვალს, რომ ის ხალხი, რომელიც დაჩვეული იყო მუდმივ მონობას, ასე უცბად, თითქმის ერთი დაკვრით, დაამსხვრევდა თავის ბორკილებს?! გაზვიადებულად არ უნდა ჩაითვალოს, თუ ჩვენ რუსეთის ხალხის მონობის დასაწყისად მივიჩნევთ მოსკოვის სამეფოს დაარსებას, ე. ი. XV საუკუნეს. მაშ როგორ მოხდა, რომ მონამ, რომელიც ხუთ საუკუნის განმავლობაში იყო მიჩვეული მორჩილებას თავის ბატონის, უცბად დაამხო მისი ბატონობა? როგორ მოხდა, რომ ეს დამხობა იყო არა კატასტროფული, არამედ უმსხვერპლო, თავის თავად მომხდარი? რისთვის ძველმა ბატონმა წინააღმდეგობა არ გაუწია ამბოხებულ მონას, რომელმაც ხმა მაღლა განაცხადა პრეტენზია თავის ადამიანურ ღირსებაზე?

ყველა ამის გასაგებად უნდა მივიღოთ მხედველობაში ერთი რამ. დღევანდლამდე უმთავრესი მიზეზი რუსეთის სახელმწიფოებრივ ვითარებისა იყო თვით რუსის ერი. თუმცა რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში ცხოვრობს მრავალი რიცხვი არა რუსთა, თუმცა რუსეთი წარმოადგენს იშვიათ კონგლომერატს სხვა და სხვა ერებისას, მაგრამ მთავარი მნიშვნელობა ამ კონგლომერატში მუდამ ჰქონდა რუსების ერს. ეს ერი რუსეთში მცხოვრებ სხვა ერებზე გაცილებით უფრო მრავალ რიცხოვანი იყო, ახშობდა უკანასკნელთა თავისის რიცხვით და ყოველივე მნიშვნელობას უკარგავდა იმ ინდივიდუალ ძალას, რომელიც თითოეულ ერს შემოჰქონდა რუსეთის სახელმწიფო ვითარებაში. აი ეს არის მიზეზი იმ მოვლენისა, რომ რუსეთის ისტორია განისაზღვრებოდა მუდამ მხოლოდ რუსების ეროვნულ თავისებურობით, და არა სხვა ერების პსიხიური თვისებებით. თვითეულ არა რუსების ერს თავისებური განწყობილება ჰქონდა რუსეთის სახელმწიფოსადმი. მაგრამ ეს თავისებურობა უკვალოდ ინთქებოდა რუსების ეროვნულ მასსაში, როგორც ზღვაში.

რუსების ეროვნულ ხასიათის ზედაპირზე უმოწყალოდ დაიმსხვრა რამოდენიმე ამბოხება პოლონელებისა, რომლებიც იბრძოდენ საუკეთესო პოლიტიკურ ფორმების დასამყარებლად. ძირითადი თვისებები რუსების ეროვნულ ხასიათისა იყო მიზეზი კახეთის ამბოხების დამარცხებისა. ბოლოს, ეს თვისებები რუსების ეროვნულ სულისა შეიქმნენ მიზეზად 1905 წლის რევოლიუციის უშედეგობისაც. 1905 წლის რევოლიუცია დაიბადა ერთი მუჭა ევროპიულად განათლებულ ინტელიგენტთა ჯგუფში, რომლებმაც განითავისუფლეს თავი რუსების ეროვნულ თვისებებისაგან, მაგრამ მათ ვეღარ შესძლეს განეხორციელებინათ თავისი მიზანი, რადგანაც ამ მიზნის შესრულებას გადაეღობა წინ რუსების ეროვნული ხასიათი.

ეს ნიჭი რუსების ერისა, ნიჭი ყოველივე ცოცხალ მოძრაობის შთანთქვისა, ნიჭი, რომელიც აიხსნება მხოლოდ რუსების მრავალრიცხოვნობით, არა ერთხელ და ორჯელ აღუნიშნავთ როგორც რუსეთის, აგრეთვე ევროპიელ მოაზროვნეთ. გავიხსენოთ სლავიანოფილები ან და ჰეგელი და მისი გერმანელი მიმდევრები.

მაშ თუ ჩვენ გვსურს გავიგოთ უცნაური ხასიათი თანამედროვე პოლიტიკურ მოვლენათა, უნდა ჩავუკვირდეთ მხოლოდ რუსების ეროვნულ სულის აგებულობას.

2

სული ერისა, როგორც პროექცია მისის მატერიალურ კულტურისა, ისხამს გარეგნულ ფორმას ერის ისტორიაში. ისტორია არის ერის შინაარსი, გაწვდილი დროს სივრცეში. მაშ დავაკვირდეთ, რას გვეუბნება რუსეთის ისტორია რუსების ეროვნულ სულის შესახებ.

რუსების ეროვნულ სულის აგებულობას აკრავს წარუხოცელი დაღი თვალგაუწვდენელ და ფრიად მდიდარი რუსეთისა. მდიდარი ბუნება რუსეთისა არ მოითხოვდა ადამიანისაგან ინტენსიურ ბრძოლას არსებობისათვის. ერთფეროვანი ბუნება არ აძლევდა ადამიანის გონებას სავარჯიშო მასალას, რადგანაც ის არ უყენებდა მას არავითარ გამოცანას ასახსნელად. რუსეთის ბუნება იყო მარტივი. ეს სიმარტივე ბუნებისა, მის სიმდიდრესთან შეერთებული არ უწყობდა სრულიად ხელს ადამიანის პიროვნების განვითარებას.

ასეთი ბუნების ზედგავლენით შემუშავდა რუსების ეროვნული ხასიათი. რადგანაც ბუნება არ მოითხოვდა რუსებისაგან ინტენსიურ ბრძოლას, რუსი ვერ მიეჩვია ბრძოლას. ის გაურბოდა ყოველსავე დაბრკოლებას, რომელიც მოითხოვდა მისგან ძალის მოკრებას. ბრძოლა ამაგრებს ადამიანის ნებისყოფას, იქ სადაც არ არის ბრძოლა, ადამიანი გამოდის სუსტი ნებისყოფის პატრონი. ამიტომაც რუსების ეროვნული სული ხასიათდება ნების სისუსტით. რადგანაც რუსეთის ბუნება თავის სიმარტივის გამო, აღარ უყენებს ადამიანის გონებას არავითარ რთულ გამოცანას, აზრი რუსებისა. ვარჯიშობას მოკლებული, შეიქნა ერთობ ჩლუნგი და ზარმაცი. სისუსტე ნებისა და სიჩლუნგე გონებისა—აი ის თვისებები, რომლებიც დაედვა საფუძვლად რუსების ეროვნულ ხასიათს,

მეტადრე ეზარებოდა რუსს ბრძოლა, როგორც ბუნებასთან, ისე ადამიანთანაც. რუსი მეთევზე გაიკეთებდა დროებით ბინას რომელიმე სამე მდინარის ნაპირზე და იკვებებოდა აქ მეთევზეობით, სანამ თევზი ამ ადგილს არ შემცირდებოდა. რაკი ჩვენი მეთევზე შეამჩნევდა, თევზი შემცირდაო, სტოვებდა ძველ ადგილს და გადადიოდა სხვა მდინარეზე. ამ დროს მას აზრადაც არ მოსდიოდა, რომ შეიძლება ხელობის გაუმჯობესობა და ასის მეოხებით ძველ ბინაზე დარჩენა. ხელობის გაუმჯობესობა მოითხოვდა შრომას, და ასეთ შრომას რად მიეცემოდა ჩვენი მეთევზე, როდესაც თვალგაუწვდენელ რუსეთში ჯერ კიდევ იყო დარჩენილი აუარებელი მდინარეები, სადაც ძველ ხელობითაც შეიძლებოდა თავის დარჩენა.

აგრეთვე იქცეოდა რუსი მეფუტკრე, რუსი მიწადმოქმედი, რუსი მონადირე. შრომას და დარდს ცხოვრების გასაუმჯობესებლად რუსი არ იცნობდა თვალუწვდენელ რუსეთის სიუხვის გამო. რუსი დაჩვეული იყო მიეღო ბუნებისაგან ყველაფერი მზა-მზარეულად, უშრომლად და უდარდელად. რუსეთის ბუნება თვითონ ეგებებოდა წინ ადამიანის მოთხოვნილებებს და არ თხოულობდა მისგან ძალის მოკრებას, ინიციატივას.

რადგანაც ბუნებამ ვერ ასწავლა რუსს, რა არის ბრძოლა, რუსი გაურბოდა ყოველგვარ წინააღმდეგობას. მე VII—VIII საუკუნ. რუსები ბინადრობდენ შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაპირებზე. თვით შავ ზღვას ამ დროს ეძახოდნენ რუსების ზღვას. მაგრამ გამოჩნდნენ აზიის უდაბნოებიდან ველური ხოზარები, და რადგანაც რუსებს აღარ მოსწონდათ ბრძოლით თავის შეწუხება, თავის ნებით უბრძოლველად დაუთმეს ხოზარებს თავისი ბინა. თვითონ კი გადიწიეს ჩრდილოეთით. ხოზარებს მოჰყვნენ პაჭანაკები, შემდეგ პოლოვცები. რუსებს კი ნელ-ნელა გადაჰქონდათ თავისი ბინა სამხრეთიდან ჩრდილოეთით. ბოლოს რუსებს შემოესივნენ მონგოლები. რადგანაც გასაქანი ადგილი რუსებს მეტი აღარ დარჩენოდათ, რა გაეწყობოდა, და რუსების ერი თითქმის უბრძოლველად დაემორჩილა მონგოლებს. რუსები ითმენდნენ ველურ მონგოლების ძალმომრეობას ორნახევარ საუკუნის განმავლობაში და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ სცადეს განეთავისუფლებინათ თავი სამარცხვინო და ყოველი ღონის ამომწურავ მონობისაგან. მაგრამ რა გამოვიდა? ცდამ ნაყოფი ვერ მოიტანა. რაკი ერი თავიდანვე არ იყო დაჩვეული წინააღმდეგობას, ყოველი წინააღმდეგობა მის მხრივ უსათუოდ უნდა დამარხულიყო. და მხოლოდ მაშინ, როდესაც ყიფჩაყის ურდო დაიქსაქსა, ძალზე შესუსტდა და თითქმის სრულიად დაიქცა—რუსების ერმა მიიღო თავისუფლება. რუსებს კი არ განუთავისუფლებიათ თავის თავი მონობის უღლისაგან. თვითონ მონგოლები დასუსტდენ იმ ზომამდე, რომ დაჰკარგეს ყოველი ღონე დაეკავებინათ რუსების კისერზე მონობის უღელი. რუსებს კი არ დაუმსხვრევიათ მონობის ბორკილები. ეს ბორკილები დადნენ თავისთავად და რუსეთმა იგრძნო თავისუფლება. ეს იყო თავისუფლება, უბრძოლველად მოპოვებული. დამახასიათებელია რუსების ეროვნული სულის გამოსაცნობად ერთი წვრიმალი რამ. როდესაც ყეენის ბასკაკებმა მოსთხოვეს ხარკი მოსკოვის დიდ მთავარს, „მობძანდი და მიირთვიო", გადასცა ყეენს ბასკაკების პირით დიდმა მთავარმა. ამ სიტყვებში აშკარად სჩანს რუსის უხასიათობა, მისი უინიციატივობა. მას ეშინია თავის ხელში ინიციატივის აღებისა. ის სიხარულით უთმობს პირველ ნაბიჯს თავის მოწინააღმდეგეს. ეს გაუბედაობა და შიში პირველი ნაბიჯისა ნათლად გამოაშკარავდა მდინარე უგრის ნაპირზედაც, სადაც მოსკოველების ჯარი რამოდენიმე თვის განმავლობაში უცდიდა მონგოლების ჯარს და თვითონ კი დაერიდა თავდასხმას.

რუსების ერის უინიციატივობის გამო რუსეთის ისტორია თითქმის სრულიად არ იცნობს, რას ნიშნავს შინაური შფოთვა და ღელვა. ისტორია დასავლეთ ევროპისა არის დაუმთავრებელი მატიანე ურიცხვ რევოლიუციებისა. რუსეთის ისტორია კი იშლება ნელ-ნელა, უტკივრად, უშფოთველად, როგორც წყნარი რუსეთის მდინარე. რუსეთის ისტორია არის ისტორია საზოგადოებრივ ევოლიუციისა, par lxcellence.

დიახ, დათმობა, სირბილე, გაუბედაობა,—აი რა ახასიათებს რუსების ეროვნულ სულს. ბრძოლისა და წინააღმდეგობის უნარს მოკლებული, რუსი იძულებულია თვითონ შეივიწროვოს თავის თავი. აი ამიტომ არის, რომ რუსებს ძლიერ მოსწონთ ქადაგება თვით შევიწროვებისა, თავისთავის უარყოფისა და დამცირებისა, ქრისტიანული სიმშვიდისა. სწორედ ამიტომაცაა აგრე მძლავრად რომ ტოკავს რუსის გული ლევ ტოლსტოის სახელის ხსენებაზე, იმ ლევ ტოლსტოის, რომელიც უნიჭიერესი და უდიდესი თანამედროვე მოქადაგეა ადამიანის პიროვნების თვითდამცირებისა.

აღნიშნულ ეროვნულ თვისებების გამო, რუსი მოკლებულია გარკვეულ ფორმას. ფორმას და გარკვეულობას რუსი არ იცნობს. ის მუდამ გამოურკვეველ მდგომარეობაში იმყოფება. მასში არ არის არაფერი დამდგარი, მაგარი და მტკიცე, რაზედაც შესაძლებელი იყოს დაყრდნობა. რუსეთის განთქმული მწერალი ჩაადაევი ნაღვლიანად სჩივოდა: „ჩვენ, რუსები, თითქო მუდამ სტუმრადა ვართ და არასოდეს ვართ ჩვენს სახლში"!

ს. დანიაძე.

(გაგრძელება იქნება).

ტანციას ეკლესიის გამგებლობის დარგებში წარმოადგენდა მსოფლიო კრება. სპეციალური თანამდებობანი იყო შემდეგი: ქორეპისკოპოზი, პერიოდევტი, მთავარ უხუცესი, საკელარი, ეკონომი, სკევოფილაქსი, აპოკრისიარი, გამგენი ქსენონებისა, თავშესაფართა, მთავარ-დიაკონი, ეკდიკი, ხარტოფილაქსი, ნოტარი და სხ.

საქართველოს ეკლესიის გამგებლობის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი ასე მოგვითხრობს: ეპისკოპოზ-მღვდელთათვის: განა აქვნდათ წესნი და ჩვეულებანი კერძოთა მღვდელთა-წილ დაცვა მირიან მცხეთას ზემო ეკლესიასა შინა, მთავარ-ეპისკოპოზი და ქალაქთა და დაბნებთა—მღვდელნი ჭეშმარიტნი ქრისტეს სარწმუნოებისანი. რომელთა აქვნდათ პატივი—ეპისკოპოზსა მეფისათანა, ხოლო მღვდელთა—მთავართათანა. კათალიკოზისა, ეპისკოპოზისა, წინამძღვრისათვის: ხოლო ვახტან-გორგასალ დასვა კათალიკოსი, და ეპისკოპოზნი ყოველსა საქართველოსა შინა. ამათ მიეცა პატივი—კათალიკოზსა მეფისათანა, და ეპისკოპოზს ერისთავისთანა, ხოლო მღვდელთა—აზნაურთათანა. ხოლო შემდგომად მოსვლისა იგი წმიდათა მამათა, იქმნენ ამათ მიერ მონასტერნი და უდაბნონი, და ამათ მონასტერთა მამათა და წინამძღვართა მიეცათ პატივი მთავართათანა.

შემდეგ საქართველოს ეკლესიის უფლების აყრისა ჩვენს ეკლესიაში გამეფდა პაპიზმი. უწმინდესი სინოდი, ყურმოჭრილი ყმა თვით-პყრობელისა, ნიშნავს ეგზარხოსებს ტომით არა ქართველთა, თვის სამწყსოს ენის, ზნე-ჩვეულების არა მცოდნეთ, რუსიფიკატორებს, გარყვნილ-გათახსირებულ ბეროებს, რომლის მოვალეობას შეადგენდა ქართველებში აღმოფხვრა სარწმუნოების ნასახისა, ხგრევა ეკლესია მონასტრებისა, მათვე გმორჩილებით ორიოდე ქართველი ეპისკოპოზნი, უფლება აღდილნი და ცვლმხრივ მართველნი ეპარქიებისა. დღესაც საკუთივ მწესო ოლქები (ბლაღოჩინები) ეპისკოპოზებ-ეგზარხოსების მარჯვენა ხელნი და მათნი ჯაშუშნი, მექრთამენი მონა-მორჩილნი უფროსებისა, ცირკულიარ-მანიფესტ-უკაზების ცხოვრებაში გამტარებელნი, „საბორჩიკები" მღვდელ-დიაკვნების თავზარდამცემნი.

ახალი ეკლესია მართვა-გამგეობას უეჭველად მოაწესრიგებს დემოკრატიულ ნიადაგზე ისე, რომ უფლება და ხმის ყოფა ყველას ჰქონდეს, თვითმპყრობელობას ფრთები შეეკვეცება, ერთის წილ კოლეგიალური მართველობა იქნება ყველგან. ყველამ თავის უფლების ფარგალში უნდა იმუშაოს ხალხის სასარგებლოდ. მართვა-გამგეობაში მონაწილეობას ღებულობს ერი და მღვდელი.

იმედია, მალე შესდგება სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება, რომელიც გამოიმუშავებს წესებს და ახალ საფუძველზე დაამყარებს ეკლესიას.

ქ. გძელი.

ქვირფასი მასწავლებელი

(შიო მღუკაშვილის ხსოვნას)

ის მწვავე ობლობას განიცდიდა.

დიდ ბოლმას ატარებდა გულში.

თვითეული ჰაერა მისი შევერცხლილი იყო სამშობლოს ნაღველით.

თვითეული ნაოჭი მისი შუბლისა საქართველოს დარდმა გამოიწვია.

ბედნიერი ვიყავით მისნი მოწაფენი, რადგანაც ყოველდღე ვისმენდით მისგან კეთილ სიტყვას.

ვიყავით უბედურნი—რადგანაც მას ყოველდღე ახალი სევდა მოჰქონდა და ახალ წყლულით გვიწყლულებდა გულს.

ყოველდღე ჰზრდიდა ჩვენში შურისძიების ცეცხლს და ველოდით სანატრელ წუთს, როდესაც ჩვენი შურისძიების ხმა შეაძრწუნებდა მტარვალის დარბაზებს.

აჰა, აღსრულდა...

მოხუც მასწავლებელს გამხმარ ტუჩებზე ღიმილი უკროდა, ხოლო ჩვენ აფრიალებულს ბაირაღს ვუმღეროდით. და როდესაც ჩვენთვის „ქრისტე აღსდგა", მისი მზე ჩაესვენა და ტირილით მივაცილებდით მისი კუბო, რადგანაც ვერ შეესწრო ეხილა სრული ბედნიერება საქართველოსი, და დიდი ბოლმა და ნაღველი ისევ საფლავში ჩაჰყვა.

უძვირფასესო მასწავლებელო! ჩვენ, ვისაც გვსმენია შენი წყევლა—გვწამს, რომ ჩვენს სამშობლოსაც გაანათებს თავისუფლების მზე. მაშინ მივალ შენს საფლავზე და შენს მტვერს ჩამოვძახებ:

— გიხაროდენ, მასწავლებელო!

გოგლა ლეონიძე.

წერილი რედ. მიმართ

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა სთხოვს „საქართველოს" რედაქციას ადგილი მისცეს შემდეგ განცხადებას:

ზოგიერთ ადგილობრივ გაზეთში („მშაკი" და „Кавказское Слово"-ში) იბეჭდება მეტად აღმაშფოთებელი ცნობები, რომელნიც სახელს უტეხენ ჩვენის ერის ეკლესიურ უფლებათა აღდგენის საქმეს.

საზოგადოდ, ამ გვარ ამბების გამოსაკვლევად არსებობს სპეციალური კომისია ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრის თავმჯდომარეობით და ყველა ეს ხმებიც ამ კომისიას გადაეცემა შესამოწმებლად.

ამ ჟამად კი საქართველოს ეკლესიის მმართველობა აცხადებს, რომ, რამდენადაც მას ცნობები მოეპოვება, აღნიშნული ხმები სინამდვილეს არ შეეფერება.

ასეთ დროს, როდესაც ეროვნებათა შორის განწვავებული ურთიერთობა სუფევს, ყოველ ორგანოს მოვალეობას უნდა შეადგენდეს სიფრთხილით მოეპყროს საზოგადოებაში გავრცელებულს ხმებსა და ჭორებს და ხელი შეუწყოს ერთაშორის ძმობისა და ერთობის გამტკიცებას.

საქართველოს ეკლესიის კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრე და დროებითი მმართველობის თავმჯდომარე ლეონიდე, ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოსი.

ფშავ-ხევსურთა დადგენილება

ჩვენ, ხევსურნი პირაქეთ და პირიქითისა, პირველ თავისუფალ ყრილობაზე ს. ბარისახოში 28 მარტს ვიქონიეთ სათემო მსჯელობა თავისუფლებაზე, სრულ საქართველოს და ჩვენ ხევსურთა საკუთარ საჭიროებაზედ და დავადგინეთ—მოგმართოთ თქვენ, საქართველოს ერისა და ხალხის პარტიას, გადასცეთ ჩვენი სიტყვა ახალ მთავრობას და საქართველოს გასაჭირი გაუზიაროთ ყველას და ჩვენი სურვილები განუცხადოთ.

მადლი და გამარჯვება ხალხის ატეხვას (რევოლუციას), ვაჟკაცთ წინაშე მუხლს ვიდრეკთ.

მეფის გატეხვას და ახალ მთავრობის დამყარებას ჩვენ სიხარულით ვეგებებით. განამტკიცონ და განაძლიერონ ძლიერმა ხატებმა და წმ. უფალმა თავისუფლება რუსეთისა და ჩვენი სამშობლო საქართველოსი. რუს მეფის გატეხასთან—გატყდეს ჩვენი მონობა, დაიმსხვრეს ბორკილი, ჩაჭედილი რო ჰქონდა ბოროტს ჩვენი სამშობლო.

ასთექვსმეტი წელიწადი ჩვენ სიმართლით და ერთგულად ვემსახურეთ რუსეთს, თავი არ დაგვიზოგია, სისხლი და სიცოცხლე შევწირავს, ახლო და შორეულ ურჯულოთა საზღვარი ჩვენ შვილთა სისხლით შეგვიღებნია; მტერიც გავიმრავლეთ, მოყვარე მოსისხლედ გავიხადეთ, სამაგიეროდ დევნისა, მათრახისა და შეგინების მეტი არაფერი გვინახავს ძველი მთავრობისაგან: რჯული წაგვერყვნა და წაგვეპილწა, ღმერთი წაგვერთვა და ხატი შეგვიგინდა, კერა ჩაგვექრა, პატივი აგვეხადა, ულუფა და მზრუნველობა მოგვესპო, სამსახური მეფისა და სახემწიფოს წინაშე კი გაგვიძნელდა. ჩვენ მამულში სხვები ჩაასახლეს, გომბორს სავალი მოგვისპეს, სამშობლო კერაზე მოირადრეთ გაგვხადეს, ჩვენი საფლავი და სამლოცველო სისხლით მორწყული ხევსურეთი რუსის ხაზინის საკუთრებად გამოაცხადეს.

ახალმა მთავრობამ უნდა დაგვიბრუნოს ახდილი პატივი, უფლება და ქონება. თავდებათ მთელი თავისუფალი, კანონმდებელი საქართველო უნდა იყოს.

ჩვენი საქმეები ჩვენ თვითონ უნდა განვაგოთ და ვაწესრიგოთ—სკოლა, სამართალი, შინაური ცხოვრება, ჯარი საქართველოში ქართველთა საქმე უნდა იყოს. მაშინ შეგვეძლება დიდი სამსახური ჩვენთვისაც და რუსეთისათვისაც, თორე პირუტყვი და დავარდნილი კაცი ვისთვის რა გამოსადეგარია!

კრება დამფუძნებელი მალე უნდა იყოს მოწვეული, თორემ დიდ მოლოდინში ქვეყანა აირევა.

უფრო ადრე უნდა ყველა ქართველთა ყრილობა მოხდეს, საცა ყველამ ერთი პირი უნდა ვქნათ. ას წელიწადს მუჯჯად ვიყავით, ერთმანეთი დავივიწყეთ, უნდა ვიცნათ კვლავ ერთმანეთი, ერთი სიტყვით დავილაპარაკოთ, მალამო რამ გამოუნახოთ ჩვენს ცხოვრებას, ურთმანეთოთ დავილუპებით, ერთმანეთით კი გამარჯვებას ვეწევით.

ამავე კრებაზედ ჩვენ ხევსურებმა, როგორც პირიქით და პირაქეთასა გადავწყვიტეთ ახალი მთავრობის და ცხოვრების მიხედვით მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება.

1. მოვხსენით ძველი მთავრობის ჩაფრები და მის მაგივრად ჩავაყენეთ სახალხო მილიცია, ჩვენ მიერ შემუშავებულ პირობებში.

2. ამ მილიციონერებათ უნდა ჩავრიცხოთ ჩვენი ლაშქრათ წასულნი და ვიშუამდგომლოთ შენახულ იქმნას ძალაში ძველი მთავრობის დადგენილება ხევსურთა სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლებისა და ვინაიდან ხალხი არ გვყოფნის და საფრთხე კი იზრდება,—ვთხოვთ კომისარიატს (ახალ მთავრობას) ჯარიდან დაგვიბრუნდნენ ჩვენი შვილნი.

3. ამოვირჩიეთ მოსამართლენი და მსაჯულნი, რომელთა სიტყვა დამფუძნებელ კრებამდე, რომელიც ახალ ცხოვრების მინაგვარ წესებს შეიმუშავებს, მათი სიტყვა უტეხი იყოს ჩვენთვის, ყველასათვის.

4. ამოვირჩიოთ ჩვენი წარმომადგენელნი თიანეთის კომისარიატში და ვითხოვთ ხევსურეთის გამგებლად დამტკიცებულ იქმნას ჩვენი არჩეული კაცი მთავრობის ჯამაგირით.

5. ვიქონიოთ მსვლელობა და კავშირი საქართველოსთან და ჩვენი მოქმედება შევეწონოთ და შევუთანხმოთ და მხარი დავუჭიროთ საქართველოს ყველაფერში.

6. შევკარით პირი და განვამტკიცეთ ფიცით—მოვსპოთ რაც ერთმანეთში ჯული და მტრობა იყოს, არ ავიღოთ სისხლი. დღეს ყველა ჩვენგანი ჩვენ სამშობლოს ეკუთვნის, უნდა განიწიროს მისთვის და ქვეყნის კაცს ხელი არ შეეხების.

7. მოვისპინეთ და შევიწყნარეთ გასულთა და ყაჩაღთა ველრებ; ვაპატიეთ ჩადენილი საქმენი და ღირს ვცანით ისინიც დღეს ქვეყნის მომსახურეთა ხალხთა ჩავთვალოთ. მათ მტკიცე ფიცი მოგვცეს ღმერთისა, წმ. ხატების და მამა-პაპათა საფლავის წინაშე და უტეხი სიტყვა დაგვიდეს მთელის ყრილობის, ხევის ბერთა, დეკანოზთა და საქართველოდ მოსული კაცის წინაშე—რომ ამიერიდან მიეცემიან მშვიდობიან ცხოვრებას და მორჩილნი იქნებიან ამორჩეულ კაცთა სიტყვისა და ყრილობის დადგენილებისა.

8. ამორჩეულ პირებმა უნდა იკისრონ ჩვენი დაცვა და წარმომადგენლობა თიანეთის კომისარიატში და თუ საჭირო იქნება სხვაგანაც. აქ უნდა ადევნონ თვალი დანიშნულ კაცთა მოქმედებას. მათი სიტყვა ყველასათვის უტეხი უნდა იყოს. ასეთ პირებათ ჩვენ ერთხმად და ერთის სიხარულით დავასახელეთ და ამოვირჩიეთ გოგოთურ და ბეწიკა ჭინჭარაულები. კომისარათ—ილიკო ფიცხელაური.

9. ყველა მიწერ-მოწერა უნდა სწარმოებდეს, ვისგანაც კი უნდა იყოს იგი—ქართულად. სხვას ჩვენ არ მივიღებთ.

10. ყრილობა ულოცავს საქართველოს ეკლესიას განთავისუფლებას. ღმერთმა ჰქნას ამას სხვა მოჰყოლოდეს და ქვეყანას ხსნა ენახოს. მადლობას უცხადებთ ყველა მომხმარეს ამ დიდ ეროვნულ საქმეში. ვწუხვართ, რომ ამ საქმეში სხვა საქართველოს შვილთ გვერდში არ უდგიათ. კაცთ ასახელებს შვილი.

11. ულოცავთ მთელ საქართველოს, უგზავნით სალამს და ფიცს იძლევიან ხევსურები სამშობლოს ერთგულ დამცველებათ, საცა კი საჭირო იქნება. ძმანო ქართველნო, ყველანი ქართველი ვართ, ერთის სისხლის, ერთი რჯულის და ერთი ენის პატრონი ხალხი. შევერთდეთ, აღვადგინოთ შეგინებული სახელი, მოვიპოვოთ ახდილი უფლება, აღვადგინოთ გაციებული საქართველოს კერა.

ამ ორივე პირობაზე მთელის ყრილობის თანადასწრებით და სურვილით და თანხმობით ხელს ვაწერთ ხ. ბერნი, დეკანოზნი და სხვა ამორჩეულნი კაცები.

1. ორ. ფშაველის ყრილობამ პირველ თავისუფალ კრებაზე გაიცნო რა დადგენილებანი ხევსურეთისა, ერთხმათ უერთდება მათ მიმართვას ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტისას და ახალი მთავრობის მიმართ იზიარებს აზრებს და თხოულობენ მათ მოთხოვნილებას. ყრილობა ულოცავს ეკლესიის თავისუფლებასაც.

2. ყრილობა საჭიროთ სცნობს, რაც შეიძლება მალე დაარსდეს მილიცია ხალხის დაცვისათვის, საფრთხე თან და თან იზრდება და მიმართავს ქართველ საზოგადოებას მიაწოდოს იარაღი და დახმარება გაუწიოს.

3. კრებამ ერთხმად დაჰგმო საზოგადო ტყის დაწვა და აღიარა—სარჩოს და დოვლათის დაცვა, რადგან ყველაფერი—უსამართლოდ ჩამორთმეული—ხალხისა იქნება სამართლის დამყარების დროს და მიესაკუთრება ყველას ქართული კანონმდებელი ძალით.

4. კომისარათ, მთავრობის ჯამაგირით, ნიკო რაზიკაშვილი ამორჩეულ იქმნა ადგილობრივ კომისარიატათ, ფარნაოზ ზ.მაბაძე და დავით ჯანაშვილი (სოფ. მაღაროში მცხოვრები).

5. ფშაველი ხევსურეთთან ერთად ადგენს იშუამდგომლოს თიანეთის აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე დათხოვნილ იქმნას ყველა ის, ვისაც ძველ პოლიციის სამსახურით იცნობენ ეს კუთხენი.

6. იშუამდგომლოს იმ ვე კომიტეტის წინაშე დაუბრუნდეს წართმეული იარაღი.

ამ პირობაზე ხელს ვაწერთ არჩეულნი კაცნი.

დაბა-სოფლები

ხოფ. ლამისყანა (გორ. მ.). 1914 წლის მარტის ბოლოში თ-დის ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის თაოსნობით ჩვენ სოფელში გაიხსნა მომხმარებელი საზოგადოება „მეგობარი", ვაჭრობა დავიწყეთ 700 მანეთით. წლისა და რვა თვის შემდეგ ვიანგარიშეთ და აღმოჩნდა 152 მ. მოგება. ამ პირველი ანგარიშის შემდეგ საქმის წარმოება და გამგეობის თავმჯდომარეობა გადაეცა ვანო მაყაშვილს.

მიმდინარე წლის იანვრის უკანასკნელ რიცხვებში მოვიდა საანგარიშოდ ამიერ კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის მიერ გამოგზავნილი ინსტრუქტორი ბ. გიორგი კანდელაკი და რა ნახა, რომ, როგორც მთავარ წიგნში, ისე დამხმარე წიგნებში არაფერი იყო ჩაწერილი, ოქმი შეაყენა და წინადადება მისცა გამგეობას მალე არსებაში მოეყვანათ საზოგადოების საქმე, ყველა ანგარიშები გაეწორებინათ; მაგრამ ამ ოქმს საქმის მწარმოებელმა სრულიად ყურადღება არ მიაქცია. ამა მარტის 12-ში კიდევ ეწვია ბ. კანდელაკი ანგარიშის შესადგენათ, მაგრამ საქმე ისევ არეულ-დარეული დახვდა, წიგნები შეუვსებელი, და ოთხი დღის განმავლობაში ვერა გააწყო რა, ანგარიშები ვერ გაასწორა და წავიდა. იანვარს აქეთ არაფერი ვაჭრობა არ არის, საქმის მწარმოებელი და ნოქარი კი ჯამაგირებს იღებენ.

ურიგო არ იქნებოდა, ვისაც ჯერ არს, ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს.

ყოფილი ფხალაძე.

შემოწირულება

არტაანის ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების ქართველ მაჰმადიანთათვის გადმოსცეს: სოფ. მერდენეგში მყოფმა გენერ. მაიორმა სოლომონ ზაქარიას ძე მაყაშვილმა 12 მან. და თბილისის მოქალაქემ ვას. ალექსის ძე ხომასურიძემ 20 მ. საზოგადოება შემომწირველთ მადლობას მოახსენებს.

განყოფილების რწმუნებული და მდივანი კ. ოდიშარია.

რედაქტორ-გამომცემელი
ხანდრო [illegible]

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის				
ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.43	სად.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3,20	დღ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	8.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	სად.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.1[illegible]	სად.
თელავისაკენ		№ 4,	8 „ 58 „	დილ.
თბილისში მოდის:				
ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	7.51	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	სად.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.48	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	სად.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	სად.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	სად.
„	ჩქარ.	№ 5,	10.40	სად.
თელავიდან		№ 8,	6.24	სად.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10	დილ.

1917 წ. მიიღებ ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ"-ზე

ჟელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული" გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადული"-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული"-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ფოსტისთვის: Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსასვლელი დავითის ქ. № 2. დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.

(291—21)

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეზველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „[illegible]", სომრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის [illegible] მუდამივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი შეკვრის [illegible], თართი, ფორგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის [illegible]

უპირველესი, რადიკალური და სწრაფი

მასთან იაფი საშუალება

სიფილისს, სახსრების ავადმყოფობას, სახსრებისა და კუნთების ქრონიკულ რევმატიზმს, ნეკრესის ქარებს, საერთო გადამდებ ავადმყოფობას, ლითონებით მოწამლულს, თვალის ავადმყოფობას, სიფილისის წყლულებს, წითელას, ხერხემლის გამოფიტვას, დამბლას და სხვას სასწრაფოდ კურნავს საქვეყნოდ ცნობილი შვეიცარიული საექიმო საშუალება პროფესორ რომის

იოდასტარინი

ნუ შეცდებით სხვა პატენტოვან საშუალებებში. პროფესორ რომის პრეპარატი წმინდა საექიმო საშუალებაა, გასინჯულია საუკეთესო ევროპიულ კლინიკებში და სანატორიებში კურსების ფასი 32 მანეთი, 1/2 16 მანეთი 1/4 8 მანეთი, ყოველი მილი 4 მანეთი და 50 კ. ღირს. სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთი მანეთის ბეის მიღების შემდეგ. ვისაც რამე მოლაპარაკება და პრეპარატის შეკვეთა სურთ, მიმართეთ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიას.

თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16—6—4. სახელმწიფო ბანკის ახლოს.

Тифлисское Отдѣленіе Парижской Фармацевтической Лабораторій, Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—4. противъ Государственнаго банка.

ქარებს (რევმატიზმის),

ნეკრესის

თირკმელების (ქაჯების)

და სხვა ამგვარ ავადმყოფობის დროს უებარი წამალია „უროდონალ", და მაზი წასასმელი „ატრო", სრულიად უვნებელია და მოქმედობს ძლიერ კარგად. ფასი „ურდონალისა" ხუთი მანეთი და მაზისა სამი მანეთი. მთელი წამლობისათვის საჭიროა ოთხი ფლაკონი „ურდონალი" და ოთხი კოლოფი მაზი „ატრო". სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთ მანეთის ბეს შემდეგ. დასაკვეთად და მოსალაპარაკებლად უნდა მიმართოთ მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებას.

თბილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16: გან. 6—9, სახელმწიფო ბანკის მახლობლად.

Тифлисское Отдѣленіе Парижской-фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Мемиковская № 16, отд. 6—9. Противъ Государственнаго Банка.

სუსუნაკით (ცონორეა)

ავადმყოფებს,

რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდძალი ფული დ უხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას „რეზუროლინი", რომელიც სულ ცოტახანში არჩენს გაარჯელებულ და ქრონიკულ სუსუნაკს საშარდე ბუშტისას, ბისას და სხვ.

რატომ

ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება?

იმიტომ, რომ,

ჯერ ერთი, დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.

მეორედ, იმიტომ, რომ მართლაც ძნელია ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა.

მაგრამ უველა ავადმყოფმა, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს უებარი „რეზუროლინი". სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა, რომ

„რეზუროლინი"

ნამდვილად არჩენს სუსუნაკს. მთლად მოსარჩენათ ახალი ავადმყოფისა ღირს 21 მანეთი და ძველებულისა 35 მან. 50 კ. მთელი წამლობა შეადგენს ორ საშუალებისაგან სხვა. ქვეყნებში იგზავნება 5 მანეთის ბეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებაში: თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16, განყ. 6—1, სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.

За заказами и справками обратиться въ Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—1, напротивъ Государственнаго Банка.

სტამბა „ცხოვრება" ასლან კალანდაძისა, გამაეცის შესახვევი № 7